## ფოთში ახალ სამკერვალო ფაბრიკას ჩაეყარა საძირკველი

გვ. 2

## ფოთში მასწავლებლებს პროფესიული დღე მიულოცეს

გვ. 2


# გაზეთი თემა სამეგრელოში

ფასი 50 თეთრი № 22 26 სექტემბერი - 3 ოქტომბერი 2016 წელი გამოდის სამშაბათობით


## რისთვის და სად იბარებდა ქალაქგარეთ კემულარია საკრებულოს თავმჯდომარეს?!

გვ. 3

## ფოთში არჩევნებს ექვსი არასამთავრობო ორგანიზაცია დააკვირდება

გვ. 4

## რამდენად ერკვევიან ფოთში ამომრჩეველი და თავად კანდიდატებიც დეპუტატის ფუნქციებში?

გვ. 6

## საკუთარ გამარჯვებაში დარწმუნებული კანდიდატი

გვ. 5

# ფოთში „ქართულ ოცნებას„ პოლიტიკურ დევნაში ადანაშაულებენ




**ინგა გვასალია**
**ფოთი**

„პოლიტიკური ნიშნით გამათავისუფლეს„- აცხადებს ფოთის საბრძოლო ხელოვნებათა სკოლის დირექტორი ელგუჯა მირგატია, რომელიც ხელისუფლებას მასზე ზეწოლაში ადანაშაულებს. როგორც ამბობს, მას მანამდეც არაერთხელ გაუკეთებია ხელისუფლების საწინაარმდეგო განცხადებები, მაგრამ თანამდებობაზე მუშაობას მაინც აგრძელებდა. ამჟამად იგი „პაატა ბურჭულაძე- სახელმწიფო ხალხისთვის“ პარტიის წევრია და თვლის, რომ ეს აღმოჩნდა ბოლო წვეთი ხელისუფლებისათვის მის საწინააღმდეგოდ: „არაერთხელ მქონია მერიის ადმინისტრაციის უფროს, ზვიად შუბითიძესთან შეხვედრა, რომელიც ამავდროულად „ქართული ოცნების“ აღმასრულებელი მდივანი გახლავთ. ერთხელ დამიბარა - ფეისბუქზე რატომ აზიარებ ბესელიაზე გამოქვეყნებულ ინფორმაციებსო და მემუქრებოდა -ეს სამსახურზე იმოქმედებს, დავალება მაქვს შენ „მოგხედო„ თუ არა სამსახურიდან გაგათავისუფლოო. ჩვენი საუბარი უკმაყოფილოდ დასრულდა. ბოლოს ივლისშიც დამიბარა ოფისში და მკითხა, რას ვაპირებდი, ვითანამშრომლებდი თუ არა „ქართულ ოცნებასთან„. ვუპასუხე, აპოლიტიკური ადამიანი

დასასრული 2 გვ.

## საკუთარ გამარჯვებაში დარწმუნებული კანდიდატი

გვ. 5

## ფოთელების მოსაზრება არჩევნებთან დაკავშირებით

გვ. 6

## სახელმწიფოს მიერ აზომვითი ნახაზის საფასურის ანაზღაურება

გვ. 3

გამომცემელი და დირექტორი,
მთავარი რედაქტორი
ინგა გვასალია -
599 341 417;
ingagvasalia@gmail.com

რედაქტორი
ივეტა პაჭკორია -
568 61 04 41

დისტრიბუციის სამსახური
მარი ალიხანაშვილი
551 122 570-
კორესპონდენტები:

მარიამ ჯავახია -
579 241 122

ნანუკა ქაჯაია
(ფოთი)
571 323 539

ივეტა პაჭკორია
(ხობი)
568 61 04 41

გამოქვეყნებული მასალის შინაარსი შეიძლება არ ემთხვეოდეს რედაქციის თვალსაზრისს. სტატიის ავტორები თავად აგებენ პასუხს ინფორმაციის სიზუსტეზე. რედაქციაში აუდიო მასალები ინახება ორი კვირის განმავლობაში, ამ ვადის გასვლის შემდეგ პრეტენზიები არ მიიღება.

გამოქვეყნებული მასალების გადაბეჭდვა რედაქციის ნებართვის გარეშე აკრძალულია.

2016 წლისთვის 20 % -ით გაუფასურდა ეროვნული ვალუტა, როგორც ეროვნული ბანკის პრეზიდენტი გიორგი ქადაგიძე აცხადებს ვალუტის კურსისვარდნა მყარია. და ზღრულ



ნიშნულს არ ცილდება. გასულ წელს 23 %-ით გაიზარდა ქვეყნის მიმოქცევაში არსებული ფულის რაოდენობა. ერქპერტების აზრით მთავრობა ზედმეტ ფულს ბეჭდავს, რაც ინფლაციის მიზეზია. მიმდინარე წლის იანვარში დოლარის მიმართ ლარის კურსი ყოველდღიურად იცვლება და მაღლა მიიწევს. ბოლო დღეების მონაცემებით ერთი ამერიკული დოლარი - 2.4 ლარზე მეტია, ერთი ევრო - 2,7 ლარი, ერთი თურქული ლირა - 0,78 ლარი.

# ფოთში ,,ქართულ ოცნებას,, პოლიტიკურ დევნაში ადანაშაულებენ

დასაწყისი პირველ გვერდზე

ვარ არავის ვუჭერ მხარს- მეთქი. ჩემგან ასეთი პასუხი არ მოეწონა. მითხრა - ამას კარგი ამბავი არ მოყვებაო. მართლაც, რამდენიმე დღის მერე მომივიდა წერილი შესაძლო გათავისუფლების შესახებ. მანამდე აუდიტი შემომიშვეს სამსახურში. ამ წელს სამი აუდიტი იყო შემოსული სხვადასხვა შემოწმებით. აუდიტმაც შენიშვნა მომცა მოსწავლეების ანკეტების უქონლობის გამო და მერთან საშტატო განრიგის შეუთანხმებლობის გამო".

მირგატია მანამდეც გამოირჩეოდა ფოთის მაჟორიტარის წინააღმდეგ გაკეთებული განცხადებებით, მაგრამ სამსახურიდან არავის გაუნთავისუფლებია, რაზეც მას საკუთარი მოსაზრება აქვს. „ქართული ოცნება" ძალიან დასუსტდა, ახლა დავჭირდი და როცა უარი მიიღეს ჩემგან, გაბრაზდნენ".

როგორც მირგატია ამბობს, ბურჭულაძის პარტიას შუბითიძესთან საუბრის მერე შეუერთდა, რადგან „პაატა ბურჭულაძე-სახელმწიფო ხალხისთვის" ფოთის მაჟორიტარობის კანდიდატი კოტე კემულარია საუკეთესო კანდიდატად მიაჩნია.

აუდიტის მიერ გამოტანილ შენიშვნებზეც მირგატიას პასუხები მზად აქვს. მისი თქმით, ქალაქის მერთან შეთანხმების გარეშე არ ჰქონდა უფლება საშტატო განრიგის დამტკიცების. რაც შეეხება იმ შენიშვნას, რომ არ ასრულებდა დებულებით განსაზღრულ ვალდებულებებს, მირგანტიასავე განმარტებით, ბიუჯეტის უქონლობის გამო, არ შეეძლო ეს ვალდებულებები შეესრულებინა: „რამდენჯერმე მივმართე ხელისუფლებას დაფინანსებისთვის, მაგრამ უარი მივიღე. ოთხივე სკოლის მწვრთნელებთან ერთად არაერთხელ მიმიმართავს, მაგრამ უშედეგოდ. 51 ათასი ლარიდან 45 ათასი სახელფასო ფონდი გახლდათ და დარჩენილი 6 ათასი ოთხივე სკოლაზე უნდა გადანაწილებულიყო, რომელთაც თავის მხრივ კალენდარული შეხვედრები ჰქონდათ და ამისთვის თანხები არასოდეს გვყოფნიდა, რის გამოც ჩემპიონატზე ვერ გავუშვით რამდენჯერმე ბავშვები, სადაც შეგვეძლო გარკვეული წარმატებები გვქონოდა".

როგორც მირგატიამ გვითხრა, იგი არ აპირებს, შეეგუოს მის მიმართ განხორციელებულ უსამართლო გადაწყვეტილებას და სასამართლოში განაგრძობს ბრძოლას.

როგორც მირგატიას ადვოკატმა ზაურ კინტირაიამ გვითხრა: „მივმართავთ სასამართლოს, სადაც გავამახვილებთ ყურადღებას ამ საკითხებზე. ზვიად შუბითიძემ დაიბარა ჩემი დაცვის ქვეშ მყოფი და უთხრა -რისთვის და ვისთვის დარბიხარ, როცა ჩვენ გაძლევთ ხელფასსო. ამათ ასე მიაჩნიათ - თუ მუშაობ საჯარო სამსახურში და იღებ ანაზღაურებას, ვალდებული ხარ ხელისუფლებას უნდა მისცე ხმა და ემსახურო. უთხრეს, აუდიტის დასკვნით ჩვენს ხელში ხარო. ამით მიანიშნეს, შეგვიძლია სამსახურიდან გაგათავისუფლოთ, თუ არ იმუშავებ ჩვენთანო. რაც აასრულეს კიდეც".

ბრძანებას მართლაც დაუდეს აუდიტის საფუძველი. როგორც ზაურ კინტირაია ამბობს, სწორედ ამ აუდიტის დასკვნაშია ძაღლის თავი დამარხული: „ხელისუფლება, რა თქმა უნდა, მას არ აღიარებს და იტყვის - ხომ ხედავთ, აუდიტის დასკვნის საფუძველზე გავანთავისუფლეთ და არა პოლიტიკური ნიშნითო. აუდიტის სამსახური ქალაქის მუნიციპალიტეტის ქვემდებარე სამსახურია, რომელსაც მიეცა გარკვეული დავალება. ამ სამსახურს სათავეში უდგას ისეთი პიროვნება, რომელზეც ბესელია და ოცნების ხელმძღვანელები ამბობდნენ - დასაჭერია გარაჟების დანგრევის გამოო. დღეს კი ეს პიროვნება თავად ხსნის ოცნების მიერ მოყვანილ ხალხს სამსახურიდან. აი სად ჩანს ოცნებისა და ნაცების მსგავსება. აუდიტის სამსახურს შემოწმების გეგმაში ისეთი დავალებები ეწერათ, რაც მირგატიას სამსახურის ბიუჯეტში გათვალისწინებული არაა, მას კი სამსახურებრივად არც ევალება ისეთი ფუნქციების შესრულება, რაც ბიუჯეტით არაა დაფინანსებული. ისმის კითხვა, როგორ განახორციელებდა ფუნქციებს, როგორიცაა შეჯიბრებების მოწყობა, ახალგაზრდების მოზიდვა, თუ ბიუჯეტში ამისთვის არაა ჩადებული თანხა? ახლა კი შეუსრულებლობა უწერია დასკვნაში. აუდიტის დასკვნაში ძირითადი აქცენტი გაკეთებულია საშტატო განრიგზე. წესდებით, მირგატიას აქვს უფლება შეადგინოს საშტატო განრიგი, რომელიც უნდა შეათანხმოს ქალაქის მერთან. აუდიტის დასკვნაში ერთ-ერთ მინუსად წერია, თითქოს მირგატიამ არ შეათანხმა საშტატო განრიგი მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელობასთან. დავუშვათ, არ შეათანხმა ორი წლის განმავლობაში. ეს ხალხი მუშაობდა და იღებდა ხელფასებს. სად იყვნენ შესაბამისი სამსახურები აქამდე? ასეთ სამარცხვინო დასკვნას არც გამოვაქვეყნებდი. თუ ჩავუღრმავდებით, აშკარად ჩანს, რომ ქალაქის მერი ვერ უზრუნველყოფს მის ქვემდებარე სტრუქტურების ხელმძღვანელობას. სხვა სამსახურებიც ვერ ასრულებენ თავის მოვალეობებს. რაც არაპროფესიონალიზმია. როგორც ჩანს, ეს გეგმა აუდიტის შეგზავნისას თავშივე იყო ჩადებული, როცა გაიგეს რომ მორგატია მათზე არ იმუშავებდა. მართალია ხმამაღალი განცხადებებით გამოირჩევა მირგატია, მაგრამ მაშინვე არ გაათავისუფლეს, რადგან დღევანდელი ხელისუფლება ძალიან მშიშარაა და შეეშინდათ არ გაეხმაურებინა მათ დანაშაულზე ინფორმაცია. ამიტომ გარკვეული დროის მერე შეუშვეს აუდიტი. ვეკითხები ქალაქის ხელმძღვანელობას, საიდან აძლევდნენ ხელფასს. პარადოქსია - ქალაქის მერი ჭურში ზის და მის გარეშე მტკიცდება საშტატო განრიგი? მასთან შეთანხმების გარეშე ეძლევათ ხელფასი ბიუჯეტიდან? აქ ჩანს არაპროფესიონალიზმი და ქალაქის მერის არაკომპეტენტურობა. ხელმოწერილია საშტატო განრიგი და არანაირი ცვლილება არ შესულა ამ განრიგში".

ჩვენ დავუკავშირდით ზვიად შუბითიძეს, რომელიც აბსურდულს უწოდებს მირგატიას ბრალდებებს და თვლის ამას კემულარიას ავანტურად: „საერთოდ არ შევხვედრივარ მირგატიას და ვერ ვხვდები, რა კომენტარი უნდა გავაკეთო ამაზე. ჩაფლავებული აქვს სკოლა, აუდიტმა რომ შეამოწმა, რამდენიმე შენიშვნა ქონდა, რომელიც არ გამოასწორა და გავანთავისუფლეთ. კიდევ ერთხელ მკაფიოდ მინდა განვაცხადო, რომ მირგატიასთან არანაირი შეხვედრა და შეთავაზება არ მქონია. ისე კი მინდა გითხრათ, რომ მას საკუთარ თავზე ფრიად გაზვიადებული წარმოდგენა ქონია, თუ თვლის, რომ ოცნება მის გარეშე ძალიან სუსტია".

ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის იურისტის ნათია კაპანაძის განმარტებით საინტერსოა იყო თუარა სადამსჯელო ღონისძიებად გამოყენებული აუდიტის შესვლა აღნიშნულ სკოლაში. „ საინტერესო და მნიშვნელოვანი თემაა, აუდიტის შესვლა აღმოჩნდა იყო თუარა სადამსჯელო ღონისძიების სახედ. თუმცა კანონში აკრძალვა არსად არ გვაქვს, რომ წინასაარჩევნო პერიოდში არ შეიძლება შეამოწმონ ესათუ ის სამსახურები. ბუნებრივია სახელმწიფოს აქვს ამის უფლება, მაგრამ ეს არ უნდა იქცეს დასჯის მექანიზმად. ნებისმიერ ადამიანს, როდესაც აქვს ეჭვი, რომ შემოწმება მოხდა განგებ და დარღვევებით, ან შენიშვნა, რომელიც იქ არის აღმოჩენილი მას არ უკავშირდება, ან გაზვიადებულია დასკვნაში შენიშვნები, ამ შემთხვევაში აუცილებლად უნდა გასაჩივრდეს და ამას პოლიტიკური პასუხისმგებლობის ნაწილიც უნდა მოყვეს ღია განცხადების სახით. უნდა გაირკვეს ასევე იყო თუ არა ეს შემოწმება გეგმიური თუ შემოწმება ჩატარდა არაგეგმიურად".

**სტატია ქვეყნდება პროექტის „გაცნობიერებული არჩევანი–დემოკრატიის ფუნდამეტი" ფარგლებში.**
**ავტორის/ავტორების მიერ საინფორმაციო მასალაში გამოთქმული მოსაზრება შესაძლოა არ გამოხატავდეს ფონდ "ღია საზოგადოება-საქართველოს" პოზიციას. შესაბამისად, ფონდი არ არის პასუხისმგებელი მასალის შინაარსზე.**

OPEN SOCIETY GEORGIA FOUNDATION
ფონდი ღია საზოგადოება საქართველო

# ფოთში ახალ სამკერვალო ფაბრიკას ჩაეყარა საძირკველი

ფოთში, ახალი სამკერვალო საწარმოს საძირკვლის ჩაყრის საზეიმო ცერემონია გაიმართა. მასში საქართველოს პირველმა ვიცე-პრემიერმა, ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრმა დიმიტრი ქუმსიშვილმა მიიღო მონაწილეობა. უცხოური ინვესტიციით შექმნილი შპს „აჭარა ტექსტილი" 6 თვეში უახლოესი საერთაშორისო სტანდარტების სამკერვალო ფაბრიკის ამოქმედებას გეგმავს, სადაც ქალის, მამაკაცისა და ბავშვის სპორტული ტანსაცმლის წარმოებას აპირებს.

შპს „აჭარა ტექსტილი" აღნიშნული ბიზნეს-პროექტის განხორციელებას საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს მეწარმეობის განვითარების სააგენტოს მხარდაჭერით, პროგრამის „აწარმოე საქართველოში" ფარგლებში გეგმავს. კომპანია სარგებლობს სამთავრობო პროგრამის ფინანსური მხარდაჭერით, რაც იმას ნიშნავს, რომ პირველი 2 წლის განმავლობაში პროცენტის თანადაფინანსებას მეწარმეობის განვითარების სააგენტო განახორციელებს. კომპანიას საწარმოს ასაშენებლად საჭირო ტერიტორია 4 ჰა მიწის ფართობი სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოდან ნომინალურ ფასად გადაეცა.

პირველმა ვიცე-პრემიერმა, დიმიტრი ქუმსიშვილმა პრეზენტაციაზე განაცხადა, რომ პროექტის განსახორციელებლად ინვესტორი 15 მილიონ აშშ დოლარამდე დახარჯავს. ხოლო საწარმოს სრულად ამოქმედების შემდეგ ფოთში მოსახლე ყველა ქალბატონს, რომელსაც დასაქმების სურვილი ექნება, ამის რეალური შესაძლებლობა გაუჩნდება.

დიმიტრი ქუმსიშვილის განცხადებით, „აჭარა ტექსტილი" წარმატების მხოლოდ 1 მაგალითია, იმ 205 საწარმოდან, რომელსაც ჩვენ მხარი დავუჭირეთ პროგრამის „აწარმოე საქართველოში" ფარგლებში და რომლის დახმარების შედეგად ჯამურად 445 მილიონი ლარის ინვესტიცია განხორციელდება." მისი თქმით, მთავრობა ინტენსიურად მუშაობს პოტენციურ ინვესტორებთან იმისათვის, რომ საქართველოს სხვადასხვა რეგიონებში ახალი საწარმოები გაიხსნას და დამატებითი სამუშაო ადგილები გაჩნდეს.

# ფოთში მასწავლებლებს პროფესიული დღე მიულოცეს

ფოთის ვალერიან გუნიას სახელობის სახელმწიფო პროფესიულ თეატრში მასწავლებლის დღისადმი მიძღვნილი საზეიმო ღონისძება მერიის კულტურის, ძეგლთა დაცვის, სკოლამდელი და სკოლის გარეშე აღზრდის დაწესებულებების კოორდინაციის სამსახურის ორგანიზებით მოეწყო.

წარმატებული მასწავლებლები ტრადიციისამებრ წელსაც ფულადი პრემიითა და სიგელებით დააჯილდოვა „ნელი გეგეშიძის" ფონდმა და „ეი პი ემ ტერმინალს"-მა.

წლის საუკეთესო მასწავლებლებს სიგელები და საჩუქრები ადგილობრივმა ხელისუფლებამაც გადასცა.

ქალაქის მერმა და საკრებულოს თავმჯდომარემ მოზარდი თაობის სწავლა–აღზრდის საქმეში შეტანილი განსაკუთრებული წვლილისათვის და ქალაქის განათლების სისტემის განვითარებაში აქტიური მონაწილეობისათვის ქალაქის ღვაწლმოსილი პედაგოგი კლარა წურწუმია დააჯილდოვეს.

დაჯილდოების ცერემონიალის შემდეგ, ცნობილმა მომღერალმა ლაშა ღლონტმა და „თბილისურმა კვარტეტმა" პროფესიული დღე მასწავლებლებს თავიანთი შემოქმედებით მიულოცეს.

ქალაქი ... 3

# რისთვის და სად იბარებდა ქალაქგარეთ კემულარია საკრებულოს თავმჯდომარეს?!

ივეტა პაჭკორია
ფოთი

არჩევნებამდე 3 დღით ადრე მერიის ადმინისტრაციული შენობის წინ „სახელმწიფო ხალხისთვის" დეპუტატობის კანდიდატმა მორიგი აქცია გამართა. აქცია სასმელი წყლის მაღალ ტარიფს შეეხებოდა. აქციის ზოგიერთი მონაწილე გზის გადაკეტვით იმუქრებოდა, თუმცა თავისავე მხარდამჭერებმა მხარი არ დაუჭირეს მათ მოთხოვნას. აქციის მონაწილეები ასევე ითხოვდნენ შეჩერებული ინფრასტრუქტურული პროექტების განახლებას, საკრებულო დათხოვნასა და ქალაქის მერის გადადგომას.

საპარლამენტო კანდიდატი კოტე კემულარია წყლის მაღალ ტარიფს ადგილობრივი ხელისუფლების მიერ მოსახლეობის ძარცვად აფასებს და ხელისუფლებას ექვსი წლის მანძილზე აბონენტების მიერ ზედმეტი თანხის დაბრუნებას სთხოვს. „აქციებს 5 აგვისტოს შემდეგ ვმართავთ. ადგილობრივი ხელისუფლება მის მოსახლეობას უკანონოდ, მარეგულირებელი კომიისის დადგენილების საწინააღმდეგოდ ახდევინებდნენ ფულს სასმელ წყალში. ჩვენ მივმართეთ გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანიას, მათ პასუხის ღირსადაც არ ჩაგვთვალეს. არაერთხელ მივმართეთ მერიას და ვაიძულეთ ისინი,რომ მიეწერათ მარეგულირებელი კომისიისთვის და ჩვენ გვაქვს მათ მიერ მიწერილი წერილის ასლი, სადაც თავადაც აღიარებენ რომ ეს არის კანონდარღვევა და ფოთის მოსახლეობა 6 წლის განმავლობაში უკანონოდ იხდის წყლის საფასურს. დღეს კიდევ ერთხელ შევიკრიბეთ, რომ მხოლოდ წერილის მიწერა სემეკისათვის არ არის საკმარისი, არამედ მათ ქმედითი ნაბიჯები უნდა გადადგან ამ პრობლემის აღმოსაფხვრელად".

აქციის მონაწილეებს საკრებულოს წარმომადგენელი ეკა ფაჩულია შეხვდა, რომელმაც წერილის მოთხოვნასთან დაკავშირებით განუმარტა „წერილის გაგზავნას მისი ვადები აქვს და მოთხოვნის შესაბამისად პასუხსაც მიიღებთ. თუ ეს წერილი მოგცეს მასაც გადმოქცემდნენ. ამ საკითხზე მუშაობა უკვე დაწყებულია". ფაჩულიას ამ განმარტებამ დეპუტატობის კანდიდატის გაცხარება გამოიწვია და ხალხს მიმართა: „აგერ ლამაზი ქალბატონი მეკითხება, რატომ არ მოვითხოვე წერილი. როგორ არ მოვითხოვეთ, მაგრამ არ გვაძლევენ. 6 წელი წყლის ტარიფს ახდევინებდნენ უკანონოდ მოსახლეობას და ამ მერიაზე ამბობთ ვადებზე? შიგნით ვერ შეხვალთ და ვერ მოთხოვ ვერაფერს. ამ წერილის მისაღებად ერთი თვე ვიბრძოდით. თუ შემცირებულია ტარიფი, რას უმალავთ ამ ხალხს, უთხარით. სანამ არ მოვედი და არ წამოვჭერი ეს საკითხი,არ უნდა მოეგვარებინათ? არ მივცემთ უფლებას არჩევნებამდე გაწელონ, შემდეგ კვლავ იგნორი გაუკეთონ ამ საკითხს. გამოვიდეს თოფურია და ხალხს გასცეს პასუხი".

მოთხოვნის მიუხედავად საკრებულოს თავმჯდომარე აქციის მონაწილეებთან არ გამოსულა. საკრებულოს თავმჯდომარე ალექსანდრე თოფურია გაზეთ „მთავარი თემა სამეგრელოსთან" საუბრისას განმარტავს, რომ ყოველივე ეს კემულარიას საარჩევნო პიარი და სიცრუეა „მათი მოთხოვნის შესაბამისად ჩვენ ყველა წერილი, კანონით განსაზღვრულ ვადაში გადავუგზავნეთ. ბატონმა კოტემ ახლა რომ დაიწყო ამ თემით მანიპულირება, რადგანაც იცის, რომ ქალაქში არანაირი რეიტინგი არ აქვს და თან ძალიან ბევრს ცრუობს ფოთელ მოსახლეობასთან. ჩვენ ამ თემაზე მანამ ვმუშაობდით, სანამ კემულარია გაიგებდა ამას. ამ საკითხთან დაკავშირებით რამდენჯერმე შევხდი მარეგულირებელი კომისიის წევრებს, გაგზავნილი გვაქვს წერილებიც და პასუხებიც მივიღეთ. მათ არ მოუთხოვიათ სემეკის მიერ გამოგზავნილი პასუხები". ერთი რამ ნათელია, საკრებულოს თავმჯდომარე საუბრობს ერთს, დეპუტატობის კანდიდატი საპირისპიროს, აქციაზე კი დგას მოსახლეობა რომელსაც კვლავ 55 თეთრიანი ტარიფით მოუვიდათ ქვითრები.



„ჩვენ ვერანაირად ვერ გადავუხვევთ კანონს, სანამ არ იქნება სემეკის გადაწყვეტილება და ახალი გადაანგარიშება, რომელიც სავარაუდოდ სულ მალე მოხდება. ჩვენ რომ გავაუქმოთ დადგენილება ეს იმას არ ნიშნავს, რომ შეჩერდება გადასახადი. რაც შეეხება შეხვედრას, მათი სურვილის შემთხვევაში ნებისმიერ წუთს შევხვდები, ოღონდ აქ ფოთში სამუშაო გარემოში და არა ქალაქგარეთ, როგორც ეს მას უნდა"- გვითხრა თოფურიამ. დავინტერესდით თუ რას ნიშნავდა მისი ეს განმარტება ქალაქგარეთ შეხვედრაზე, რაზეც საკრებულოს თავმჯდომარემ გვიპასუხა: „ამას მოგვიანებით და კიდევ ბევრ რამეს შეხვედრის შემდეგ გავაჟღერებ".

კემულარიას მოთხოვნას მოსახლეობისათვის 35 თეთრიანი ზღვარს ზემოთ გადახდილი თანხის უკან დაბრუნებაზე, თოფურია ამ საკითხის გადაწყვეტისკენ სემეკისკენ იშვერს ხელს. „ იქნებ კემულარიას კითხოთ სად მუშაობდა 2007 წელს, როდესაც ეს გადაწყვეტილება მივიღეთ? მე ამით გავეცი პასუხი ყველაფერს".

ქონდა თუ არა მაჟორიტარობის კანდიდატს საკრებულოს თავმჯდომარესთან ქალაქგარეთ შეხვედრის მცდელობა, კემულარიამ ამაზე გვიპასუხა „აქ რომ ვდგავართ განა ეს არ არის მოთხოვნა? რატომ არ ჩამოდის მის მოსახლეობასთან? მე არ ვიცნობ თოფურიას და მის გარემოცვას. ვინც მე მიცნობს, იცის ჩემი დამოკიდებულება ამ კრიმინალურ დაჯგუფებასთან, მიხვდება, რომ არანაირი შეხება არ მაქვს. ეტყობა რაღაცეები ელანდებათ. ასეთ აბსურდულ ბრალდებებს ვერ მივიღებ".

„პლატფორმა ახალი საქართველოს" თავმჯდომარე პაატა ლაგვილავა, ფოთში სასმელი წყლის მაღალი ტარიფით, სხვადასხვა უწყების დაინტერესებასაც არ გამორიცხავს, მათი გამოთვლით და მოთხოვნით

დასასრული 4- გვ.

# სახელმწიფოს მიერ აზომვითი ნახაზის საფასურის ანაზღაურება

R

მიწის რეგისტრაციის რეფორმამ, რომელიც 2016 წლის 1 აგვისტოს დაიწყო, რეგისტრაციის პროცედურა მნიშვნელოვნად გაამარტივა და ამ პროცესში არსებული ბარიერები მოხსნა.

მიწის რეგისტრაციის პროცესში ერთ-ერთ მნიშვნეოვანია საკადასტრო აზომვითი ნახაზი. 2016 წლის პირველი სექტემბრიდან საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო მიწის რეგისტრაციას მხოლოდ ახალი სტანდარტით შედგენილი აზომვითი ნახაზის საფუძველზე ახორციელებს. სტანდარტი მიწის რეგისტრაციის რეფორმის ფარგლებში შემუშავდა. რეფორმის შედეგად, გარდა ბარიერების მოხსნისა, ამზომველსა და მოქალაქეს შორის პასუხისმგებლობაც გაიმიჯნა: უძრავი ნივთის ადგილმდებარეობასა და საზღვრის იდენტიფიცირებაზე პასუხისმგებელია მესაკუთრე, ხოლო აზომვითი სამუშაოების სრულყოფილად შესრულებასა და ნახაზის სისწორეზე კი - ამზომველი.

აღსანიშნავია, რომ რეფორმის დაწყებამდე არასწორად ან ხარვეზებით შედგენილი აზომვითი ნახაზი მოქალაქეებისთვის მიწის რეგისტრაციის შემაფერხებელი მიზეზი ხშირად ხდებოდა. ახალი სტანდარტისა და დეტალური სპეციფიკაციის დახმარებით, რომელიც საჯარო რეესტრის ვებგვერდზეა www.napr.gov.ge განთავსებული, ამზომველებმა ზუსტად იციან, როგორ აზომონ ნაკვეთი ცდომილების გარეშე და შეადგინონ სრულყოფილი ნახაზი. აღნიშნულ სიახლეს მინიმუმამდე დაჰყავს მესაკუთრეებს შორის სამომავლო დავების წარმოშობის რისკი.

აღსანიშნავია, რომ რეფორმის ფარგლებში შესრულებული აზომვითი ნახაზის საფასურს საამზომველო კომპანიებს სახელმწიფო უნაზღაურებს. პროცედურა კი ასეთია: მოქალაქეებმა, რომლებსაც მიწის რეგისტრაცია სურთ, აზომვითი ნახაზისთვის მათი რაიონის ყველაზე კომპეტენტურ ამზომველს უნდა მიაკითხონ; აუხსნან, თუ რისი რეგისტრაცია სურთ და აჩვენონ საბუთები, რომლებიც მიწის ნაკვეთზე მათ საკუთრებას ადასტურებს. შემდეგ კი საჭიროა, ამზომველისგან ნახაზის მომზადების შესახებ ხელშეკრულების ფორმა მოითხოვონ, შეავსონ და მას ხელი ამზომველთან ერთად მოაწერონ.

მომდევნო ეტაპზე მოქალაქემ ამზომველს მიწის ნაკვეთი ადგილზე უნდა აჩვენოს და ზუსტად მიუთითოს, სად მდებარეობს მისი ნაკვეთი; დათქმულ დროს მიაკითხოს მას, ხელზე აიღოს აზომვითი ნახაზი, დისკი და სამუშაოს შესრულების შესაბამისი მიღება-ჩაბარების აქტი გააფორმოს, ამზომველს კი ხარჯების ამსახველი დოკუმენტი და საბანკო ანგარიშის მონაცემები გამოართვას.

უფლების დამდგენი საბუთი, აზომვითი ნახაზი და ყველა დანარჩენი დოკუმენტი - ხელშეკრულება, მიღება-ჩაბარების აქტი, ხარჯების ამსახველი დოკუმენტი და ამზომველის საბანკო ანგარიშის მონაცემები - მოქალაქემ საჯარო რეესტრში უნდა ჩააბაროს. თუ მისი მიწის ნაკვეთი დარეგისტრირდება, საჯარო რეესტრი ყველა საჭირო საბუთს სახელმწიფო ქონების ეროვნულ სააგენტოში თვითონ გადააგზავნის. შედეგად,ამზომველს გაწეული სამუშაოს ანაზღაურება სახელმწიფოს მიერ პირდაპირ ანგარიშზე ჩაერიცხება.

საკითხის მნიშვნელობიდან გამომდინარე, საჯარო რეესტრის წარმომადგენლებმა აზომვითი ნახაზის ახალი სტანდარტით შესრულებასთან დაკავშირებით რეგიონებში მოქმედ საამზომველო კომპანიებთან საკონსულტაციო შეხვედრებიც გამართეს. ამ შეხვედრებზე ნებისმიერ ამზომველს საშუალება ჰქონდა, აზომვითი ნახაზის ახალი სტანდარტის შესახებ ამომწურავი ინფორმაცია მისთვის მოსახერხებელ ქალაქში მიეღო. საჭიროების შემთხვევაში, საჯარო რეესტრის თანამშრომლები მათ ნახაზის შედგენის წესთან დაკავშირებით ტრენინგსაც უტარებდნენ. ამ დრომდე საქართველოს ქალაქებსა და რაიონებში 318 ამზომველმა გაიარა კონსულტაცია. თანამშრომლობა საჯარო რეესტრსა და საამზომველო კომპანიებს შორის მომავალშიც გაგრძელდება.

დაინტერესებულ მოქალაქეებსა თუ საამზომველო კომპანიებს მიწის რეგისტრაციის შესახებ მათთვის საჭირო ინფორმაციის მიღება ცხელ ხაზზე 2 405 405, ელექტრონული ფოსტითა ინფო ნაპრ.გოვ.გე და საჯარო რეესტრის ფაცებოოკ-ის ოფიციალური გვერდის დახმარებით შეუძლიათ.



# ფოთში არჩევნებს ექვსი არასამთავრობო ორგანიზაცია დააკვირდება

ივეტა პაჭკორია
ფოთი



საპარლამენტო არჩევნებს ფოთში ექვსი ადგილობრივი არასათავრებო ორგანიზაცია დააკვირდება – „ახალგაზრდა რეფორმატორთა ასოციაცია", „ადამიანის უფლებათა დაცვის ცენტრი", „სამოქალაქო განვითარებისა და ადმიანის უფლებათა დაცვის ცენტრი"- ასოციაცია „თავისუფალი თაობა", ააიპ „ქალაქი ადამიანთა ერთობა"და ააიპ „ალიანსი ოქროს საწმისი". არასამთავრებო ორგანიზაციები ფოთში დიდი აქტიურობით არ გამოირჩევიან. მათი უმრავლესობა სწორედ წინასაარჩევნოდ შეიქმნა.

ააიპ-ები „ქალაქი – ადამიანთა ერთობა" და „ალიანსი ოქროს საწმისი" 2013 წელს დარეგისტრირდნენ. ორივე არასამთავრობო ერთი ორგანიზაციის მიერაა შექმნილი. „ქალაქი – ადამიანთა ერთობა" ფოთის აგრარული ბაზრის დირექტორ, თეა ბელქანიას 2014 წლის ადგილობრივ არჩევნებში, მაჟორიტარი კანდიდატობის დროს გახსნილი არასამთავრობო ორგანიზაცია გახლავთ და როგორც ამბობს, ერთ-ერთი ყველაზე ძლიერი არასამთავრობო ორგანიზაციაა ფოთში: „ბადალი არ გვყავს, იმდენად ძლიერი ორგანიზაცია ვართ". ააიპ-ები „ქალაქი – ადამიანთა ერთობა" და „ალიანსი ოქროს საწმისი" 2016 წლის არჩევნებზე ყველა უბანზე ორ-ორ დამკვირვებელს წარადგენენ. თავად ორგანიზაციის ხელმძღვანელი უნივერსალური ბარათის მეშვეობით ყველა უბანს შეძლებისდაგვარად დააკვირდება. ორგანიზაცია 2012 წლიდან სახელისუფლებო გუნდის მხარდამჭერია, თუმცა, როგორც ხელმძღვანელები გვეუბნებიან, არჩევნებს, როგორც არასამთავრებო ორგანიზაცია, ისე დააკვირდება და არავის ინტერესებს არ დაიცავს.

„ადამიანის უფლებათა დაცვის ცენტრი" შედარებით ახალგაზრდა ორგანიზაცია და დიდი აქტიურობით არ გამოირჩევა. ორგანიზაცია 2015 წლის იანვარში დარეგისტრირდა და ერთ-ერთი მიზანი არჩევნების მონიტორინგი გახლავთ. თავმჯდომარე, სულხან თოლორდავა წინა ხელისუფლების დროს, საფინანსო სამსახურის უფროსი იყო, დღეისთვის ფინანსთა დარგში მერის მრჩეველია. თოლორდავას განმარტებით, არც ერთი პარტიის სასარგებლოდ არ აპირებს მუშაობას და ჯერჯერობით არც ის აქვს გარკვეული, რა ფორმით გაუწევს მონიტორინგს არჩევნებს: „ფართო მასშტაბით არ ვიქნებით წარმოდგენილნი არჩევნებზე, გადაწყვეტილი არ გვაქვს, რამდენ უბანზე მოხდება მონიტორინგი, დამკვირვებელი კანდიდატების ასარჩევად კიდევ გვაქვს რამდენიმე დღე, გამოცდილი ხალხი გვყავს, რომლებიც შეეცდებიან მონიტორინგი სამართლის სრული დაცვით განახორციელონ. იმ დღის განვითარებული მოვლენები გვაჩვენებენ, ყველაზე საინტერესო უბანი სად იქნება, ჩემი აზრით კი, ყველაზე საინტერესო საოლქო იქნება".

„სამოქალაქო განვითარებისა და ადამიანის უფლებათა დაცვის ცენტრი" როგორც არასამთავრებო ორგანიზაცია 2013 წელს დარეგისტრირდა. ორგანიზაციის ერთ-ერთი დამფუძნებელი მარინა წულეისკირი ეროვნული მოძრაობის აქტიური წევრი და „ქართული ოცნების" ერთ-ერთი დამფუძნებელია. როგორც არასამთავრებო ორგანიზაცია, პირველად დააკვირდება არჩევნებს: „ორგანიზაციის მთავარი ფუნქცია არჩევნების დაკვირვებაა. ორგანიზაცია საარჩევნო უბნების გარეთ დააკვირდება ამომრჩევლებს, რადგან კარუსელის ჩატარების ალბათობა გარეთ უფრო მაღალია. ორგანიზაციამ ასევე ჩაატარა გამოკითხვა და მინდა გითხრათ, რომ შედეგები სავალალოა. ხალხში გამეფებულია შიშის სინდრომი, ვაითუ სახელისუფლო გუნდი გავანაწყენოთო. ჩვენ მოვუწოდებთ, მთავარია, ამომრჩეველმა თავისი სამოქალაქო ვალი მოიხადოს და მივიდეს არჩევენბზე. იქ კი, კაბინაში, თავისი სასურველი არჩევანი გააკეთოს. ვამუშავებთ კანონპროექტს, სადაც არჩევნებზე მისვლა სავალდებულო იქნება, რომლის დამტკიცების შემდეგ გაყალბების რისკებიც დაბალი იქნება".

„ახალგაზრდა რეფორმატორთა ასოციაცია" 2014 წელს დაფუძნდა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომიტეტთან არსებული სამეცნიერო-საკონსულტაციო საბჭოს წევრი გახლავთ, შესაბამისად, მონაწილეობენ ანგარიშების განხილვაში, ამ სფეროში არსებული პრობლემების გაცნობასა და ანალიზში. ორგანიზაციის ძირითადი საქმიანობა ადამიანის უფლებები, არჩევნებისა და თვითმმართველობის მონიტორინგია. როგორც ორგანიზაციის ხელძღვანელი, შალვა სარდალიშვილი ამბობს, ჩართულნი არიან საზოგადოებრივ აქტივობებში: „გამგეობის წევრებმა დავწერეთ ანალიტიკური დოკუმენტი – ფოთის განვითარების სტრატეგიული ხედვა, ასევე ფოთის პროლემები და საჭიროებები. არჩევნებზე ჩვენს ორგანიზაციას ყველა ოლქში ეყოლება დამკვირვებლები". სარდალიშვილი „ქართული ოცნების" მაჟორიტარი დეპუტატების კანდიდატის ირაკლი ხახუბიას ახალგაზრდულ საარჩევნო შტაბსაც ხელმძღვანელობს.

არჩევნებს ასევე დააკვირდება 30 საერთაშორისო ორგანიზაცია, 26 ტელეკომპანია და საქართველოში რეგისტრირებული 45 არასამთავრებო ორგანიზაცია.

**სტატია ქვეყნდება პროექტის „გაცნობიერებული არჩევანი– დემოკრატიის ფუნდამეტი" ფარგლებში.**

**ავტორის/ავტორების მიერ საინფორმაციო მასალაში გამოთქმული მოსაზრება შესაძლოა არ გამოხატავდეს ფონდ "ღია საზოგადოება-საქართველოს" პოზიციას. შესაბამისად, ფონდი არ არის პასუხისმგებელი მასალის შინაარსზე.**

# რისთვის და სად იბარებდა ქალაქგარეთ კემულარია საკრებულოს თავმჯდომარეს?!

დასაწყისი მე–3 გვ.

თითოეულ მოსახლეს 3500 ლარი აქვს ზედმეტი გადახდილი და სანამ ეს თანხა არ ამოეწურებათ, აბონენტებს უნდა შეუწყდეთ წყლის გადასახადი, შემდეგ კი „წყლის ტარიფმა უნდა დაიწიოს 35 თეთრამდე, როგორც ეს განსაზღვრულია სემეკის გადაწყვეტილებით. შემდეგი ნაბიჯები სავარაუდოდ იქნება სასამართლო დავები თანხების დაბრუნებასთან დაკავშირებით. ამ საკითხთან დაკავშირებით შესაძლებელია სხვა უწყებებიც დაინტერესდნენ და ჩაერთონ, იმის დასადგენად თუ რატომ მიიღო მერია- საკრებულომ ეს გადაწყვეტილება"?

როგორც ჩვენთვის ცნობილია პირველად ეს საკითხი თვეების წინ საზოგადოებრივმა კავშირმა „ღირსებამ" წამოჭრა, გადააგზავნა წერილები და მოთხოვნები სემეკსა თუ მერია-საკრებულოში და ეს მიჩქმალული საკითხი დღის შუქზე გამოიტანა. კოტე კემულარია წარმოშობით ხობიდანაა და როდესაც ვკითხეთ იცოდა თუ არა რას იხდიდა წყლის გადასახადს ხობელები ვერ გვიპასუხა, ხობში წყლის გადასახადი 41. 9 თეთრია, სეემეკის ოფიციალური მონაცემებით საქართველოს არც ერთი ქალაქი არ იხდის 35 თეთრს -საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის დადგენილება №17 (2010 წლის 17 აგვისტო. ქ. ქუთაისი) წყალმომარაგების ტარიფების შესახებ. ,,ელექტროენერგეტიკისა და ბუნებრივი გაზის შესახებ" საქართველოს კანონის მე-4 მუხლის მე-5 პუნქტის „თ" ქვეპუნქტის, მე-5 მუხლის პირველი პუნქტის და 432 მუხლის საფუძველზე, ვადგენთ:

მუხლი 1. შპს საქართველოს გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანიის" (გარდა ფოთის თვითმართველი ერთეულის) მომხმარებლებისათვის, მომხმარებელთა კატეგორიის მიხედვით, განისაზღვროს წყალმომარაგების შემდეგი ზღვრული ტარიფები (ზედა ზღვარი):

ა) გამრიცხველიანებული საყოფაცხოვრებო მომხმარებლებისათვის წყალმომარაგების ზღვრული ტარიფი – 0,423 ლარი მ3, მათ შორის:

ა.ა) სასმელი წყლის მიწოდების ზღვრული ტარიფი -0,355 ლარი/მ3;

ა.ბ) წყალარინების ზღვრული ტარიფი -0,068 ლარი/მ3. შესაბამისად წყლის ტარიფის გადასახადი საქართველოს მოსახლეობისათვის შეადგენს 41.9 ლარს. ფოთთან მიმართებაში დარღვეულია ყოველგვარი კანონი და ფოთელი მოსახლეობა ამ ტარიფით დისკრიმინაციულ მდგომარეობაშია სხვა მომხმარებელთან შედარებით. თუმცა არც მოსახლეობის შეცდომაში შეყვანაა მიზანშეწონილი. ფოთელი მოსახლეობა როგორც სხვა ყველა მომხმარებელი უნდა იხდიდეს 41.9 ლარს.



საქართველოს გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანიის მომსახურების ტარიფები

| № | რეგიონის დასახელება | [illegible] | ტარიფი (კუბ.) წყალი | წყალარინება | ჯამი | ტარიფი (სულ.) წყალი | წყალარინება | ჯამი | შენიშვნა |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | - | [illegible] | 3.375 | 0.832 | 4.307 | | | 0 | [illegible] |
| | - | [illegible] | 0.419 | 0.08 | 0.499 | | | 0 | [illegible] |
| | - | [illegible] | 3.4 | 1.3 | 4.7 | | | 0 | [illegible] |
| 1 | [illegible] | [illegible] | 0.419 | 0.08 | 0.499 | 1.77 | 0.385 | 2.155 | |
| | | [illegible] | 0.419 | 0.08 | 0.499 | 1.77 | 0.385 | 2.155 | |
| | | [illegible] | 0.419 | 0.08 | 0.499 | 1.5 | 0.001 | 1.501 | |
| 2 | | [illegible] | 0.419 | 0.08 | 0.499 | 1.77 | 0.385 | 2.155 | |
| 3 | | [illegible] | 0.419 | 0.08 | 0.499 | 0.702 | 0.286 | 0.988 | |
| 4 | | [illegible] | 0.419 | 0.08 | 0.499 | 1.77 | 0.385 | 2.155 | |
| | | [illegible] | 0.419 | 0.08 | 0.499 | 1.145 | 0.385 | 1.53 | |
| 5 | | [illegible] | 0.419 | 0.08 | 0.499 | 1 | 0.001 | 1.001 | |
| 6 | | [illegible] | 0.419 | 0.08 | 0.499 | 1 | 0.15 | 1.15 | |
| 7 | | [illegible] | 0.419 | 0.08 | 0.499 | 0.5 | 0.001 | 0.501 | |
| 8 | | [illegible] | 0.419 | 0.08 | 0.499 | 0.5 | 0.15 | 0.65 | |
| 9 | | [illegible] | 0.419 | 0.08 | 0.499 | 1 | 0.3 | 1.3 | |
| 10 | | [illegible] | 0.419 | 0.08 | 0.499 | 0.7 | 0.001 | 0.701 | |
| 11 | | [illegible] | 0.419 | 0.08 | 0.499 | 0.3 | 0.2 | 0.5 | |
| 12 | | [illegible] | 0.419 | 0.08 | 0.499 | 0.5 | 0.001 | 0.501 | |
| 13 | | [illegible] | 0.419 | 0.08 | 0.499 | 1 | 0.001 | 1.001 | |
| 14 | | [illegible] | 0.419 | 0.08 | 0.499 | 0.4 | 0.001 | 0.401 | |
| 15 | | [illegible] | 0.419 | 0.08 | 0.499 | 1.77 | 0.001 | 1.771 | |
| 16 | [illegible] | [illegible] | 0.55 | 0.25 | 0.8 | 1.4 | 0.64 | 2.04 | |
| 17 | | [illegible] | 0.419 | 0.08 | 0.499 | 1.77 | 0.08 | 1.85 | |
| 18 | | [illegible] | 0.419 | 0.08 | 0.499 | 1.77 | 0.385 | 2.155 | |
| 19 | | [illegible] | 0.419 | 0.08 | 0.499 | 1.77 | 0.001 | 1.771 | |
| 20 | | [illegible] | 0.419 | 0.08 | 0.499 | 1.77 | 0.385 | 2.155 | |
| 21 | | [illegible] | 0.419 | 0.08 | 0.499 | 1.77 | 0.001 | 1.771 | |
| 22 | | [illegible] | 0.419 | 0.08 | 0.499 | 1.5 | 0.001 | 1.501 | |
| 23 | | [illegible] | 0.419 | 0.08 | 0.499 | 1.02 | 0.001 | 1.021 | |
| 24 | | [illegible] | 0.419 | 0.08 | 0.499 | 1.77 | 0.33 | 2.1 | |
| 25 | | [illegible] | 0.419 | 0.08 | 0.499 | 1.77 | 0.02 | 1.79 | |
| 26 | | [illegible] | 0.419 | 0.08 | 0.499 | 1.77 | 0.001 | 1.771 | |
| 25 | [illegible] | [illegible] | 0.419 | 0.08 | 0.499 | 1.77 | 0.385 | 2.155 | |
| | | [illegible] | 0.419 | 0.08 | 0.499 | 0.45 | 0.15 | 0.6 | |
| 26 | | [illegible] | 0.419 | 0.08 | 0.499 | 1.77 | 0.385 | 2.155 | |
| 27 | | [illegible] | 0.419 | 0.08 | 0.499 | 0.25 | 0.25 | 0.5 | |
| 28 | | [illegible] | 0.419 | 0.08 | 0.499 | 0.6 | 0.385 | 0.985 | |
| 29 | | [illegible] | 0.419 | 0.08 | 0.499 | 0.34 | 0.01 | 0.35 | |
| | | [illegible] | 0.419 | 0.08 | 0.499 | 1.5 | 0.001 | 1.501 | |
| | | [illegible] | 0.419 | 0.08 | 0.499 | 1 | 0.001 | 1.001 | |
| 30 | | [illegible] | 0.419 | 0.08 | 0.499 | 1.77 | 0.23 | 2 | |
| | | [illegible] | 0.419 | 0.08 | 0.499 | 0.7 | 0.001 | 0.701 | |
| 31 | [illegible] | [illegible] | 0.419 | 0.08 | 0.499 | 1.77 | 0.3 | 2.07 | |
| 32 | | [illegible] | 0.419 | 0.08 | 0.499 | 1.77 | 0.23 | 2 | |
| 33 | | [illegible] | 0.419 | 0.08 | 0.499 | 1 | 0.001 | 1.001 | |
| | | [illegible] | 0.419 | 0.08 | 0.499 | 0.5 | 0.001 | 0.501 | |
| 34 | | [illegible] | 0.419 | 0.08 | 0.499 | 1.77 | 0.385 | 2.155 | |
| | | [illegible] | 0.419 | 0.08 | 0.499 | 0.25 | 0.001 | 0.251 | |
| 35 | | [illegible] | 0.419 | 0.08 | 0.499 | 1.2 | 0.001 | 1.201 | |



სახელმწიფო სარეგისტრაციო კოდი
300.320.000.16.009.015.003

საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის

დადგენილება №17

2010 წლის 17 აგვისტო

ქ. ქუთაისი

წყალმომარაგების ტარიფების შესახებ

„ელექტროენერგეტიკისა და ბუნებრივი გაზის შესახებ" საქართველოს კანონის მე-4 მუხლის მე-5 პუნქტის „თ" ქვეპუნქტის, მე-5 მუხლის პირველი პუნქტის და $43^2$ მუხლის საფუძველზე, ვადგენთ:

მუხლი 1. შპს საქართველოს გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანიის" (გარდა ფოთის თვითმმართველი ერთეულის) მომხმარებლებისათვის, მომხმარებელთა კატეგორიის მიხედვით, განისაზღვროს წყალმომარაგების შემდეგი ზღვრული ტარიფები (ზედა ზღვარი):

ა) გამრიცხველიანებული საყოფაცხოვრებო მომხმარებლებისათვის წყალმომარაგების ზღვრული ტარიფი – 0,423 ლარი/$მ^3$, მათ შორის:

ა.ა) სასმელი წყლის მიწოდების ზღვრული ტარიფი – 0,355 ლარი/$მ^3$;

ა.ბ) წყალარინების ზღვრული ტარიფი – 0,068 ლარი/$მ^3$;

ბ) გაუმრიცხველიანებელი საყოფაცხოვრებო მომხმარებლებისათვის წყალმომარაგების ზღვრული ტარიფი – 2,03 ლარი/სულზე/თვეში, მათ შორის:

ბ.ა) სასმელი წყლის მიწოდების ზღვრული ტარიფი – 1,704 ლარი/სულზე/თვეში;

ბ.ბ) წყალარინების ზღვრული ტარიფი – 0,326 ლარი/სულზე/თვეში;

გ) არასაყოფაცხოვრებო მომხმარებლისათვის წყალმომარაგების ზღვრული ტარიფი – 3,65 ლარი/$მ^3$, მათ შორის:

გ.ა) სასმელი წყლის მიწოდების ზღვრული ტარიფი – 2,86 ლარი/$მ^3$;

გ.ბ) წყალარინების ზღვრული ტარიფი – 0,79 ლარი/$მ^3$.

2) შპს „ჯორჯიან უოთერ ენდ ფაუერის" მომხმარებლებისათვის, მომხმარებელთა კატეგორიის მიხედვით, განისაზღვროს წყალმომარაგების შემდეგი ზღვრული ტარიფები (ზედა ზღვარი):

ა) გამრიცხველიანებული საყოფაცხოვრებო მომხმარებლებისათვის წყალმომარაგების ზღვრული ტარიფი – 0,225 ლარი/მ3, მათ შორის:

ა.ა) სასმელი წყლის მიწოდების ზღვრული ტარიფი - 0,182 ლარი/მ3;

ა.ბ) წყალარინების ზღვრული ტარიფი - 0,043 ლარი/მ3;

ბ) გაუმრიცხველიანებელი საყოფაცხოვრებო მომხმარებლებისათვის წყალმომარაგების ზღვრული ტარიფი – 2,667 ლარი/სულზე/თვეში, მათ შორის:

ბ.ა) სასმელი წყლის მიწოდების ზღვრული ტარიფი - 2,155 ლარი/სულზე/თვეში;

ბ.ბ) წყალარინების ზღვრული ტარიფი - 0,512 ლარი/სულზე/თვეში;

გ) არასაყოფაცხოვრებო მომხმარებლებისათვის წყალმომარაგების ზღვრული ტარიფი – 3,729 ლარი/მ3, მათ შორის:

გ.ა) სასმელი წყლის მიწოდების ზღვრული ტარიფი - 3,013 ლარი/მ3;

გ.ბ) წყალარინების ზღვრული ტარიფი - 0,716 ლარი/$მ^3$.

# საკუთარ გამარჯვებაში დარწმუნებული კანდიდატი

**ივეტა პაჭკორია**
**ფოთი**

„ფოთში არ არის ის პირობები, რომ მე ხმამაღლა ვუთხრა ბიზნესმენს ჩადოს ინვესტიცია, ამიტომ საჭიროა სათანადო პირობების შექმნა, რადგან ინვესტორს არ შეეშინდეს ინვესტიციის ჩადება და ჩადებული თანხა გავიდეს მოგებაზე. ამის პოტენციალი აქვს ქალაქს, რომელიც არის საზღვაო კარიბჭე. ამ ყველაფრის განსახორციელებლად სჭირდება ღირსეული ფოთელები, რომლებმაც უნდა აკეთონ თავიანთი საქმე. უნდა მოხდეს ახალი სისხლის გადასხვა, ახალი სიცოცხლე ახალი გუნდი, რომელიც შეაჩერებს რეგრეს და დაიწყებს პროგრესისკენ სვლას. ზეწოლების დრო დამთავრებულია ამ ქვეყანაში. ვიღაც ინდივიდები ცდილობენ დაშინებას.

**– ოცნების კანდიდატს სასაცილოდ არ ეყო თქვენი ბრალდება ზეწოლის შესახებ?**

–ოცნების კანდიდატს იმაზეც ეცინება ქალაქი თევზის სუნში რომ იხრჩობა. ოცნების კანდიდატია თევზის სუნის შემომქმედი ამ ქალაქში. ოცნების კანდიდატი, ეკა ბესელიას ფავორიტი გახლავთ.

**– ყველაზე მტკივნეული თემა ფოთელი მოსახლეობისათვის?**

– ალბათ ეს არის ნავსადგურის მონოპოლიზაციის თემა, რომლის შემდეგ ფოთში არსებული ოცამდე გადამზიდავი ტერმინალები ფუნქციონირებას შეწყვეტენ. შესაბამისად 5000 ადამიანი სამუშაოს გარეშე რჩება. ამ თემაზე საკუთარ გუნდთან ერთად ბევრი მაქვს ნაფიქრი. სამთავრობო დონეზე უნდა მოხდეს საკითხის მოგვარება. ფოთის მოსახლეობის 50 +1 ფორმატის უნდა მოაწეროს ხელი, იმას რომ ეწინააღმდეგებიან მონოპოლიზაციას და მე როგორც პარლამენტარი საკანონმდებლო დონეზე დავაყენებ საკითხს და ყველანაირად დავიცავ იმ ადამიანების უფლებებს, რომლებიც მონოპოლიის გზით კარგავენ სარჩოს. ვამბობ კანონის ენით და არა წინასაარჩევნოდ ქულების დასაწერად.

**მინი დოსიე:** დაიბადა 1987 წლის 25 აპრილს თბილისში. დაამთავრა ფოთის № 1 გიმნაზია, ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის სამართალმცოდნეობის ფაკულტეტი ბაკალავრის ხარისხით, შემდეგ ნიკო ნიკოლაძის სახელობის უნივერსიტეტი მაგისტრის ხარისხით. მუშაობდა კერძო სექტორში, „შპს „ეგრისი პლიუსის“ გენერალური დირექტორად წლების მანძილზე. 2013 წელს იყო მერის თანაშემწე კულტურის საკითხებში. 2014 წელს მიიღო მონაწილეობა თვითმართველობის არჩევნებში, უპარტიოდ. გახდა საკრებულს წევრი, შემდეგ კი საკრებულოს თავმჯდომარე. ეს თანამდებობა ეკავა სამი თვე. დღეს არის საპარლამენტო არჩევნების, ფოთის მაჟორიტარობის კანდიდატი, ეროვნული ფორუმიდან.



**– თქვენ აქტიური მხარდამჭერი იყავით „ქართული ოცნების“ ხელისუფლებაში მოსვლის, როდის გაიყარა თქვენი გზები?**

– დღევანდელი ხელისუფლების მოყვანაში ეროვნულ ფორუმს და პირადად ოთარ ხარჩილავას დიდი წვლილი აქვს შეტანილი. ხალხის ერთიანობა ანგრევს იმპერიას. ჩემს წარდგენაზე შეიკრიბა 3 500-ზე მეტი ფოთელი, ეს იყო უპრეცენდენტო რაოდენობა, რომელიც ვერ შეკრიბა ვერც ერთმა პოლიტიკოსმა, ეს აჩვენებს რომ არანაირი მეორე ტური არ იქნება და მათი კანდიდატი, ოთარ ხარჩილავა დამაჯერებლად გაიმარჯვებს ფოთში.

**– ვის მიიჩნევთ კონკურენტად?**

– არჩევნებში კონკურენტად მხოლოდ და მხოლოდ საკეთებელ საქმეს ვთვლი და არავინ სხვას, რადგან არც ერთ კანდიდატს არანაირი შანსი არ აქვს ჩემთან კონკურენციის. რეალურად მე მებრძვის სამი ნაციონალი კანდიდატი, ბექა ბასილია ნაციონალებიდან, ბურჭულაძის პარტიიდან კოტე კემულარია, რომელიც შექმნა ნაციონალურმა მოძრაობამ და ამ პერიოდში მიაღწია თანამდებობის ყველა უმაღლეს მწვერვალებს და რომელიც გარეული იყო ნაციონალების ყველა ბინძურ საქმეში. ირაკლი ხახუბია, რომელიც აფინანსებდა ნაციონალებს და 2012 წელს კარდაკარ დადიოდა ხვეწნით, რათა შემოეხაზათ №5 და რომელიც ყველა ნაციონალურ შტაბში დაუფარავად მოძრაობდა და აგიტაციას ატარებდა.

# ლელა ებრალიძე – „მე ეს ქალაქი არა მარტო მიყვარს, არამედ მტკივა“

**ივეტა პაჭკორია**
**ფოთი**

მიუხედავად იმისა, რომ რესპუბლიკური პარტიდან მაჟორიტარობის კანდიდატადაა წარდგენილი ლელა ებრალიძე, ის არ გახლავთ რესპუბლიკური პარტიის წევრი და არც ფიქრობს პარტიის წევრობაზე, რადგან საკმაოდ დიდია მისი თავისუფლების ხარისხი, თუმცა სრულიად იზიარებს პარტიის ღირებულებებს.

„ჩემი განვითარება დაიწყო მედიიდან და ვარ ბედნიერი ადამიანი, რომ მომიწია იმ პერიოდში მუშაობა, როდესაც თავისუფლების ხარისხი საკმაოდ მაღალი იყო ჩვენს ქვეყანაში და არც ტერორი არ იყო იმ დოზით, რომ ადამიანის სიცოცხლეს საფრთხე შექმნოდა. იმ პერიოდის ჟურნალისტები ვართ სამოქალაქო საზოგადოების ჩამოყალიბების ერთიერთი კომპონენტი. 30 წლის წინ ჩვენ მართლაც გავთავისუფლდით იმ ჭირისგან, რომელსაც ერქვა საბჭოთა კავშირი და ჩრდილოელი მეზობელი. ჩემი კარიერის პერიოდში მე მომიწია ძალიან ბევრ არასამთავრებო ორგანიზაციასთან მუშაობა, რაც იყო ძალიან დიდი გამოცდილება ჩვენი სახელმწიფოს განვითარების გზაზე, გარდა ამისა, მე ვიმუშავე საქართველოს ანტიკორუფციულ ბიუროში, საქართველოს რკინიგზაში, შიგნიდან ვნახე, როგორია დრო მოჭმული და ჩაჟანგული სისტემა, როგორ უშლიან გარკვეული ძალები ამ სისტემის განვითარებას ხელს. ასევე ვიმუშავე თბილისის საკრებულოსა და მერიის სამსახურის უფროსად. არც ერთ ჩემი ცხოვრების მონაკვეთს არ ჩაუვლია პოლიტიკური და სამოქალაქო აქტივობის გარეშე. მე ვიყავი ყველა იმ პროცესში, როცა წყდებოდა ქვეყნისთვის ძალიან მნიშვნელოვანი საკითხები. ამდენად, დღეს ჩემი გააქტიურება წესით არავისთვის არ უნდა იყოს გასაკვირი.

**– თქვენთვის ეს არჩევნები არ არის პირველი**

– დიახ, ერთ-ერთმა პირველმა ქალმა ვცადე მეყარა კენჭი ისეთ საზოგადოებაში, როგორიცაა ფოთი და სამეგრელო. ეს არ გახლდათ იმ დროისთვის იოლი თემა, რადგან მამაკაცებისათვის გარკვეულწილად მაინც იყო გამაღიზიანებელი ფაქტორი ქალის დეპუტატობა. მე გავბედე, ვცადე და საკმაოდ კარგი შედეგით გავიარე ის არჩევნები, რისთვისაც დღესაც მადლობას ვუხდი მოქალაქეებს. ფოთმა მაშინ დაამტკიცა გენდერული თანასწორობა და ფოთი ხედავს მამაკაცის თანასწორ ქალს. მაქვს იმედი, რომ სწორედ ქალები გამოვლენ დღესაც, ქალი კანდიდატის მხარდასაჭერად და ფოთში პოლიტიკურ ბრძოლას მამაკაცებს მოვუგებთ.

**– ამჟამად არ ხართ არც ერთ პარტიის წევრი, რატომ შეაჩერეთ არჩევანი რესპუბლიკურ პარტიაზე?**

– რესპუბლიკური პარტიის ღირებულებები გადის ევროპულ კულტურასთან ინტეგრირებაზე, ნატოზე და ასე შემდეგ. ჩვენი ქვეყნის მომავალს მე მხოლოდ ამ მიმართულებაში ვხედავ. ევროპული ღირებულებები არის უალტერნატივო განვითარება ჩვენი ქვეყნისათვის. მხოლოდ ამ მიმართულებით შეგვიძლია გადავარჩინოთ ჩვენი თავი და სახელმწიფო აგრესიისგან და იმ აგრესორებისაგან რომელიც ჩრდილოეთის მხრიდან მოდის. მხოლოდ ეკონომიური სიჯანსაღე არის წყარო, რომ ჩვენ გავხდეთ ყველასათვის საინტერესო რეგიონში და ევროსტრუქტურებისთვის. ყოველთვის დავდიოდი ალესილი დანის პირზე. ჩემი ცხოვრების სტილია, ვიყო იქ სადაც ცხელი წერტილია, სადაც წყდება ამ ქვეყნის ბედი. ვერ ვიტყვი, რომ ჩემი მიღწეულით თვითკმაყოფილება მიპყრობს, ეს არის ჩემი მინიმუმი, ყველაფერი წინაა, სწორედ ამიტომ არ გავდექი გვერდზე. უნდა ითქვას, რომ ჩვენი მდგომარეობა საზოგადოებაში იმედის მომცემია. ფაქტიურად, მე ფორა მაქვს მამაკაცებისათვის მიცემული. ფორა მაქვს მიცემული სამთავრობო კანდიდატისთვის, რადგან ის იყენებს სახელისუფლებო რესურს. ადგილობრივი ხელისუფლების დაქვემდებარებაში მყოფი თითქმის ყველა სამსახურები შვებულებაში გაუშვეს და კორდინატორებად ამუშავებენ. მე ეს ქალაქი არა მარტო მიყვარს, არამედ მტკივა.

**–რამდენად გაქვთ გურული ამომრჩევლების იმედი?**

– გურულებთან სისხლის ნათესაობა მაკავშირებს, ბაბუა, გიგა ებრალიძე გასული საუკუნის 40-იან წლებში ლანჩხუთის იმედის მომცემი მსახიობი იყო, როდესაც ფოთის თეატრმა წამოიყვანა. ჩვენ ერთი წუთითაც არ გაგვიწყვეტია ურთიერთობა გურულებთან. ვიცი მათი ჭირ-ვარამი, შემიგროვებია მათი სხარტული გამონათქვამები და დამიბეჭდია. ამით იმისი თქმა მინდა, რომ მე გურული ამომრჩევლების გაცნობას დღეს არ ვიწყებ.

**–დეპუტატობის არჩევის შემთხვევაში, პირველი საკითხი, რომლითაც მუშაობას დაიწყებთ**

– ეს კლანებთან ბრძოლაა. კლანი დღეს ბნელ ოთახში იარღით მჯდომი დაჯგუფება არაა. დღეს კლანი არის ფინანსებით შეიარაღებული



ბიზნესის სათავეში მყოფი ადამიანები, რომლებიც ახერხებენ მოლაპარაკებას სახელისუფლებო გუნდთან, ქალაქის მერთან თუ საკრებულოს წევრებთან და ხშირად ქალაქისათვის საზიანო გადაწყვეტილებებს იღებენ. ასეთი კავშირები დაიშლება, როცა მოქალაქეები არ აირჩევენ ყოფილ ხელისუფლებას, არ აირჩევენ არც მოქმედ ხელისუფლებას, რომლებსაც ასევე შუბლზე აწერია რისი გამკეთებლები არიან. აირჩევენ რაღაც ახალს, რაღაც ახალი კი არის ლელა ებრალიძე, თუნდაც რესპუბლიკური პარტია და ყველა პარტია რომელიც არის ევროპული ორიენტაციის.

**–თქვენი გამარჯვების და მოქმედი ხელისუფლების დარჩენის შემთხვევაში როგორ ითანამშრომლებთ მათან**

– ჩემი აზრით პარლამენტი იქნება ჭრელი. პოლიტიკური ცხოვრება მარტო ომი და ბრძოლა არ არის. ბრძოლას მე ვეძახი ამ რუბიკონის გადალახვას, სადაც ჩვენ კლანებს დავამარცხებთ და მათ მიერ გამოტანილ საარჩევნო პროცესში არასწორ სვლას დავამარცხებთ. ეს იქნება უკვე გამარჯვება. ხომ არ გონიათ თევზის სეინერებით და რაპანებით მოპოვება ახალი დაწყებულია? კომუნისტების დროიდან მოყოლებული შავ მოძრაობად ყველა მდივნის და შემდეგი პირველი პირების და დეპუტატის შემოსავლის წყარო იყო. მე გავატარებ რიგითი მოქალაქის ინტერეს საქართველოს პარლამენტში. აუცილებლად შევიტან საკითხს თევზჭერასთან დაკავშირებით, რომელიც რეგულაციების გარეშე მოშალეს. ეკოსისტემას მეთევზე არ ანგრევს, მას ანგრევს მთავრობის არასწორი კანონი და მიდგომები. ვიქნები გარანტი ფოთელებისთვის ყველა თემა რაც წამოიჭრება, ყველა ტრანსფერი, რასაც სახელმწიფო გამოყოფს მოხმარდება ქალაქს. ვპირდები ფოთელებს ქალაქური ღირსების აღდგენას. ქართულ პოლიტიკაში დადგა პრინციპული პოლიტიკოსების დრო.

**– ვის მიიჩნევ კონკურენტად?**

– კონკურენტად არ მივიჩნევ გამარჯვების ნაწილში, თუმცა შეიძლებოდა მეთქვა კოტე კემულარიას შეეძლო, რომ ყოფილიყო კარგი პარლამენტარი, მაგრამ ვერ ვხვდები მის მოტივაციას რატომ ფოთი. ასევე ნაციონალური მოძრაობის ახალგაზრდა კანდიდატს, რომ არა მათი იდეოლოგია. ასევე სამთავრობო გუნდს, რადგან ისინი იყენებენ ყველა ადმინისტრაციულ რესურს, თუმცა ვერ წარმომიდგენია „ქართული ოცნების“ კანდიდატი დეპუტატად.

# რამდენად ერკვევიან ფოთში ამომრჩეველი და თავად კანდიდატებიც დეპუტატის ფუნქციებში?

ივეტა პაჭკორია
ფოთი

სულ რამდენიმე საათი გვაშორებს ახალი პარლამენტის არჩევნებამდე. დავინტერესდით რამდენად იყო საზოგადოება გაცნობიერებული პარლამენტის დეპუტატის ფუნქციებსა და ვალდებულებებში. გამოვკითხეთ როგორც მოქალაქეები, ისე პარლამენტარობის კანდიდატები. ჩვენს მიერ ჩატარებულმა გამოკითხვამ სამწუხარო რეალობა დაგვანახა, რადგან საზოგადოების უმეტესმა ნაწილმა არ იცის, რა არის პარლამენტარის ფუნცია, თუმცა ერთხმად აღნიშნავენ რომ დეპუტატმა მისი ფუნქცია პირნათლად უნდა შეასრულოს.

ჯონი ბერიშვილი - „პარლამენტარის ფუნქციაა, ხალხის სამსახურში ყოფნა, ქვეყნის სწორად წარმართვა, მან კანონის მიხედვით უნდა იმოქმედოს დაეხმაროს ხალხს და გვერდით ამოუდგეს".

ზურაბ ყორშია - „პარლამენტარის ფუნქცია არის დაამყაროს მშვიდობა და მოსახლეობას დაეხმაროს, უნდა მიხედოს ქვეყანას".

გულნაზ ბობოხია - „პარლამენტარმა პირნათლად უნდა შეასრულოს თავისი მოვალეობები, ქვეყანას და ხალხს დაეხმაროს. მის კისერზეა ჩვენი ქალაქი, ქვეყანა და ხალხი".

ოთარი 60 წლის - „პარლამენტარმა თავის ქვეყანას უნდა დაეხმაროს, მისი ფუნქციები შეასრულოს, ხალხს ამოუდგეს გვერდით და დაეხმაროს მათ".

ლელა 51 წლის - „ძალიან მინდა, რომ დღევანდელი პარლამენტი, რაც ეხლა არის შეიცვალოს და იქ ღირსეული ხალხი შევიდეს, რადგან მთელი ქვეყანა პარლამენტს ეყრდნობა და ის მართავს მას. მინდა, რომ ფოთის მაჟორიტარმა ქალაქს დაეხმაროს, ხალხს დაეხმაროს და თავისი უფლება-მოვალეობები შეასრულოს".

ნინო 48 წლის - „რა არის პარლამენტარის ფუნქცია და კანონის შესაბამისად მოქმედება, ქვეყნის უკეთ მართვა და საქართვლოს კეთილდღეობაზე ფიქრი, უკეთესი, რომ გახადოს ჩვენი ქვეყანა. სწორედ ეს არის პარლამენტარის ფუნქცია".

სამწუხაროა ის ფაქტი, რომ არათუ ამომრჩეველმა თავად დეპუტატობის კანდიდატებმა არ იციან მათი ფუნქიები. საარჩევნო კამპანიის დაწყებისას მოსახლეობისათვის დაპირებებს და თავის გაცნობას, ქალაქის ინფრასტრუქტურის მოწყობით იწყებდნენ. არჩევნების მიწურულს კი დახვეწეს საარჩევნო კამპანია. მართალია ინფრასრტუქტურული პროექტები ფოთისათვის აქილევსის ქუსლია, მაგრამ არა დეპუტატის მოვალეობა. რაც შეეხება დეპუტატის ძირითად მოვალეობას კანონპროექტებზე მუშაობას, სულ რამდენიმე დეპუტატობის კანდიდატმა გვიპასუხა.

„პროგრესულ-დემოკრატიული მოძრაობის - თქვენთან,თქვენთვის,თქვენთან ერთად" მაჟორიტარობის კანდიდატს, ზაზა მჟავიას მიუხედავად მისი პარტიის ორთვიანი არსებობისა, გააზრებული აქვს დეპუტატის ფუნქციები „დეპუტატის ფუნქცია ძირითადად არის კანონშემოქმედება და კანონის ფარგლებში აკონტროლოს მისი რეგიონი, თუ რამდენად ჯეროვნად ასრულებს ქალაქის ხელმძღვანელობა დაკისრებულ მოვალეობას, თუნდაც ინფრასტრუქტურულ საქმეებს". დეპუტატობის შემთხვევაში 22 კანონპროექტით შედის პარლამენტში.

რესპუბლიკური პარტიის მაჟორიტარობის კანდიდატი, პროფესიით ჟურნალისტი ლელა ებრალიძე „ყველა იმ ბერკეტს ავამუშავებ, რაც დეპუტატის ხელთაა. დეპუტატობის შემთხვევაში, პირველი რითაც მუშაობას დავიწყებ კლანებთან ბრძოლა იქნება. მე ვპირდები ფოთელებს, რომ არც ერთ შემთხვევაში არ ჩავერევი კორუფციულ გარიგებებში და არა თუ ჩავერევი ამ სქემებს დავანგრევ. მე გავატარებ რიგითი მოქალაქის ინტერეს საქართველოს პარლამენტში. ფოთს ბოლო 30 წლის განმავლობაში ყოველთვის ყავდა დეპუტატი, რომელიც საკუთარი პრობლემის მოგვარებით იყო დაკავებული. ვერ გავიხსენებთ ვერცერთ დეპუტატს, რომელმაც ფოთის რეალური პრობლემა დააყენა პარლამენტის წინაშე. პარლამენტარი უნდა იყოს მთლიანად საქართველოს წარმომადგენელი და არა რომელიმე კუთხის. არ დაივიწყოს და პირველ რიგში გაიტანოს თავისი ქალაქის და ოლქის ინტერესები. როდესაც დეპუტატი იქნება მოტივირებული მის ქალაქის კეთილდღეობაზე, ის ზოგადად მოტივირებულია საქართველოს მოქალაქეების კეთილდღეობაზეც".

„ირაკლი ალასანია-თავისუფალი დემოკრატების" მაჟორიტარობის კანდიდატი თენგიზ ჩაკვეტაძე – „ჩემი არჩევის შემთხვევაში ქალაქის ფართო საზოგადოების ჩართულობით ქალაქს განესაზღვრება სტატუსი. ქალაქის ყველა საჭირბოროტო საკითხის განხილვა იქნებ გამჭვირვალე და ამაში თითოეული აქ მცხოვრები იქნება ჩართული. ლობირებას გავუწევ მონოპოლიების შეზღუდვას, რათა გააგრძელონ კონკურენტუნარიან გარემოში მუშაობა. ბიზნესში ეკონომიკურ ამნისტიას და ლიბერალიზაციას ამ იპოთეკართა და საბანკო დავალიანებათა რესტრუქტურიზაციას. თევზჭერისა და მეთევზეთა საკითხის მოგვარებას".

ეროვნული ფორუმის ფოთის მაჟორიტარობის კანდიდატი ოთარ ხარჩილავა ერთ ერთია, იმ დეპუტატებს შორის ვინც უხვად არიგებს დაპირებებს. როდესაც შევახსენეთ, რომ გზის დაგება არ არის დეპუტატის პრიორიტეტი, გვიპასუხა რომ „ჩემს საარჩევნო სიაში ვერ ნახავთ მსგავს დაპირებებს, მაგრამ მერიის ყველა სამსახური არის მოშლილი და არ ემსახურება მოსახლეობის მოთხოვნებს და უნდა მოხდეს კადრების ჩანაცვლება". არის თუ მისი დაპირებები რეალური და დეპუტატის ფუნქციების შესაბამისი ამომრჩეველი ამას თავად არჩევნებში გადაწყვეტს. პირველივე დღეებში რის გაკეთებასაც აპირებს ხარჩილავა ეს არის სამი უმაღლესი სასწავლებლის რექტორთან კონსულტაციებს. „მინიმუმ სამი უმაღლეს სასწავლებლის ფილიალი უნდა იყოს ჩვენს ქალაქში, გაიცეს იგივე სერთიფიკატი რაც დედაქალაქში, იყოს სწავლის იგივე ხარისხი და დონე, როგორიც არის თბილისში. ასევე პრიორიტეტია ცენტრალური პარკის რეაბილიტაცია და ატრაქციონების გაშენება. ქალაქის ბიუჯეტს და მოზიდულ ინვენსტიციას აქვს შესაძლებლობა ქალაქს ატრაქციონებით დახუნძლული პარკი ქონდეს. სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია აღმაშენებლის ქუჩის რეაბილიტაცია, ქვაფენილების დაგება, თანამედროვე სტანდარტების ქუჩად ქცევა. პორტის, ნაბადის და მალთაყვის სანაპირო ზოლების რეაბილიტაცია და საკურორტო ქალაქების მსგავსი სანაპიროების შექმნა. ამ ყველაფრის განსახორციელებლად სჭირდება ღირსეული ფოთელები, რომლებმაც უნდა აკეთონ თავიანთი საქმე. უნდა დასრულდეს შეჩერებული სამუშაოები, როგორიცაა სტადიონის თუ კინოთეატრის მშენებლობა. რაც შეეხება მერიას და იქ დასაქმებულ ადამიანებს ვამბობ ყველგან, რომ უნდა ჩატარდეს ტესტირება, რომელიც სამი წელია არ ტარდება შეგნებულად, რადგან ზუსტად იცის ქალაქის მერმა მის მიერ არჩეული კადრების 80% ვერ გაივლის ტესტირებას. საჯარო მოხელე, რომელიც ვერ გაივლის ტესტირებას ავტომატურად დატოვებს თანამდებობას".

ცალკე განხილვის საგნად შიძლება ავიღოთ სახელისუფლებო კანდიდატის ირაკლი ხახუბიას დაპირებები, რომელმაც მოქმედი ხელისუფლების მიერ ავად თუ კარგად შესრულებული ინფრასტრუქტურული სამუშაოებიც მიითვალა და ჩვენს შენიშვნაზე ინფრასტრუქტურული სამუშაოები დეპუტატის პრეროგატივა არ არის, გვიპასუხა „მართალია ეს არ მეხება, მაგრამ ჩემი გუნდის მიერ შესრულებული სამუშაოებია. მერწმუნეთ რომ ამ ქალაქში ჩვენ დავდებთ რეალობას, ყველა ოჯახში შევა კეთილდღეობა, ამას ახლო მომავალში ჩემი თანამოქალაქეები იგრძნობენ. ჩვენი ქალაქი აუცილებლად უნდა გახდეს საპორტო და საკურორტო ქალაქი. აუცილებელია სპორტულ გამაჯანსაღებელი კომპლექსები, ქალაქს აუცილებლად უნდა ქონდეს დამოუკიდებელი ინსტიტუტი, ყველაფერი უნდა გავაკეთოთ იმისათვის, რომ სამუშაო ადგილები გაჩნდეს. სამუშაო ადგილები, რომ გაჩნდეს აუცილებელია კერძო სექტორის განვითარება. ჩვენმა გუნდმა ძალიან დიდი პროექტი წამოიწყო, როგორიცაა, სანაპირო ზოლი, რომლითაც შეიქმნება საინვესტიციო ბიზნეს გარემო და ინვესტორებისათვის გაცილებით საინტერესო გახდება ფოთი. გაშენდება სასტუმროები, რესტორნები, გასართობი პარკები და უამრავი რამ. რაც შეეხება მუნიციპალურ პროექტებს გაკეთდა ნაგავსაყრელი, წესრიგდება ეზოები, გადაიხურა მრავალსართულიანი ბინები, კეთდება განათებები, გაკეთდა აღმაშენებლის ქუჩაზე ტროტუარები, რკალზე მალე დამთავრდება ტროტუარების კეთილმოწყობა, აღმაშენებელზე გადაიხურა და ფასადი გაუკეთდა რამდენიმე საცხოვრებელ სახლს".

# ფოთელების მოსაზრება არჩევნებთან დაკავშირებით

ქეთი ჩებანი
ფოთი

საპარლამენტო არჩევნების მოახლოვებასთან ერთად პოლიტიკურმა მღელვარებამაც მოიმატა. ამომრჩევლებში უნდობლობა საკმაოზე მეტი დოზითაა. ნაწილი უარს აცხადებს ხმის მიცემაზე, რადგან ფიქრობს, რომ მთავრობაში ვინც უნდა მოვიდეს, ხალხზე მაინც არ ზრუნავს. კონკრეტულად არავინ ასახელებს, ვის აძლევს ხმას. კომენტარის გაკეთების სურვილიც ნაკლებად აქვთ. ცხადია, ყველას სურს, ისეთი პარტია მოვიდეს სათავეში, ვინც ხალხზე და ქვეყანაზე იზრუნებს. ბევრი „ქართული ოცნების„ მოღვაწეობით კმაყოფილნი იყვნენ და კვლავ ამ პარტიის სათავეში ყოფნა სურთ. მთავარი, რაც შევნიშნეთ, ხალხს ისევ უკეთესობის იმედი და სურვილი აქვს.

არჩევნებთან დაკავშირებით საზოგადოების ნაწილი გამოვკითხეთ:

ნესტან ბჟალავა - „ჩემი წინასაარჩევნო განწყობა დადებითია, რადგან იმედი მაქვს, ყველაფერი უკეთესობისკენ შეიცვლება. არჩევნებში, რა თქმა უნდა, მივიღებ მონაწილეობას. მინდა, რომ პარლამენტში ისეთი ხალხი იყოს, ვინც ჩვენს ერსა და ქვეყანას მიხედავს".

ნიაზ ბერაია - „საარჩევნო განწყობა ჩვეულებრივი მაქვს. იმედი გვაქვს, სამართლიანი იქნება ეს არჩევნები".

გიორგი ბერიძე - „არჩევნებში მონაწილეობას მივიღებ, მაგრამ არ გავამხელ, ვის ვაძლევ ხმას, რადგან არ არის თქვენთვის ამის ცოდნა აუცილებეელი. არჩევანს ორ პარტიაზე ვაკეთებ და 8 ოქტომბრამდე ჩამოვყალიბდები".

მეგი მხეიძე - „რომ ვთქვა, ქართულ ოცნებას არაფერი გაუკეთებია-მეთქი, ალბათ უსამართლობა იქნება. არჩევნებზე აუცილებლად წავალ და ჩემს აზრს დავაფიქსირებ. უკვე მყავს არჩეული ის პარტია, ვისაც ხმა უნდა მივცე და იმედი მაქვს სწორი გადაწყვეტილება მივიღე".

ირმა გაგუა - „ჩემი წინასაარჩევნო განწყობა იმედიანია და ვნახოთ რა იქნება. ჯერ არ გადამიწყვეტია, ხმა ვის მივცე, თუმცა, ვფიქრობ და საბოლოოდ არჩევნებზე დავაფიქსირებ".

ნატო წოწორია - „პირადად მე იმედიანი განწყობა მაქვს. დიდი ხანია საქართველოში არ ჩამოვსულვარ და ახლა ჩემს ქვეყანას ცოტა უკეთესს, რომ ვხედავ, მიხარია. არჩევნებზე ჩემს აზრს დავაფიქსირებ".

ნატო გეგენავა - „არ ვაპირებ არჩევნებზე წასვლას, ხალხისთვის მაინც არავის სცალია და რა აზრი აქვს, მთავრობაში ვინ მოვა".

რამაზი 55 წლის - „საარჩევნო განწყობა კარგი მაქვს. ვფიქრობ, ხმა იმას უნდა მისცე, ვისი იმედიც გაქვს. სხვანაირად არ შეიძლება. არჩევნებზე აუცილებლად წავალ".

გულნაზი 54 წლის - „ჩემი წინასაარჩევნო განწყობა ჩვეულებრივია, არჩევნებში ჩვეულებრივ მივიღებ მონაწილეობას და ჩემს აზრსაც გამოვხატავ".

იაგო ბერაია, 20 წლის - „აუცილებლად წავალ და ახალგაზრდა, ენერგიულ კანდიდატს დავუჭერ მხარს, მართალია, მისი პარტია დიდად არ მომწონს, მაგრამ კანდიდატს ვენდობი".

ნინო 38 წლის - „არჩევნებზე მონაწილეობის მიღებას საერთოდ არ ვაპირებ. ამ მთავრობით მთლად უკმაყოფილო არ ვარ. ყველაფერი თუ არა, რაღაც მაინც შეასრულეს დაპირებებიდან, მაგრამ არჩევნებზე წასვლას არ ვაპირებ".

ემზარი - 46 წლის „მინდა, ეს არჩევნები სამართლიანად ჩატარდეს და მთავრობაში ვინც საჭიროა, ის მოვიდეს. იმედი გვაქვს, ყველაფერი კარგად იქნება და ხალხი გადაწყვეტილებას ობიექტურად მიიღებს".

ხათუნა 34 წლის - „ არჩევნებზე წავალ და ჩემს აზრს დავაფიქსირებ, მაგრამ იმას არ გავამხელ, ვის უნდა მივცე ხმა. იმედიანი განწობა მაქვს და მინდა, რომ ისეთი მთავრობა მოვიდეს, რომელიც ჩვენს ქვეყანაზე იზრუნებს".

არჩილი, 50 წლის – „მგონია, ისევ ჭრელი პარლამენტი გვეყოლება, ამის დიდი მოლოდინი მაქვს. იმედია, ცხვრებივით ერთი ადამიანის სურვილს არ გაყვება ყველა. არც ორპარტიული პარლამენტი იქნება და არა ერთმანეთის ჯიბრში გაფლანგავენ დროს და ენერგიას, არამედ ხალხისა და ქვეყნის სამსახურში იქნებიან, რაც მათი პირდაპირი მოვალეობაა".

გია გაგუა, 40 წლის – „იმედი მაქვს ფოთის მაჟორიტარი კანდიდატი გულანთებული ფოთელი იქნება და მისი ქალაქისათვის გააკეთებს იმას, რასაც უნდა აკეთებდეს ნამდვილი დეპუტატი. დარწმუნებული ვარ, ჩემი არჩეული კანდიდატიც ასეთი იქნება, ქალაქს გამოადგება".

გივი ჭაკუა, 48 წლის - „არ ვიცი და არ მაინტერესებს, სხვები რას ფიქრობენ, მაგრამ მგონია, დღევანდელმა ხელისუფლებამ ძალიან ბევრი გააკეთა, ამიტომაც არჩევნებზე წავალ და ოცნების კანდიდატს დავუჭერ მხარს".

# ინფორმირებული არჩევნისთვის

## 2016 წლის 8 ოქტომბერს საქართველოში საპარლამენტო არჩევნებია!

## პერსონალურ მონაცემთა დაცვის ინსპექტორი მოსახლეობას აფრთხილებს

პერსონალურ მონაცემთა დაცვის ინსპექტორი თამარ ქალდანი მოსახლეობას პირადი ინფორმაციის გაცემასთან დაკავშირებით რჩევებს აძლევს: *"არჩევნების მოახლოვებასთან ერთად ამომრჩევლის პერსონალური მონაცემების შეგროვების საკითხი სულ უფრო აქტუალური ხდება. მოქალაქეები საუბრობენ იმაზე, რომ მათგან სხვადასხვა პირები პერსონალური მონაცემების მოპოვებას ცდილობენ, ეკითხებიან პირად ნომერს, ასაკს, თუ ვის აძლევენ ხმას, სთხოვენ ხელმოწერას სხვადასხვა დოკუმენტზე.*

*თუ ასეთი თხოვნით თქვენც მოგმართეს, იცოდეთ, რომ არ ხართ ვალდებული გასცეთ მონაცემები და არავის აქვს უფლება გაიძულოთ მათი გამჟღავნება. თქვენი არჩევანია, მიაწვდით თუ არა ვინმეს თქვენ შესახებ ინფორმაციას და რა მოცულობით. ამ გადაწყვეტილების მიღებისას კი მნიშვნელოვანია გაითვალისწინოთ, რომ: ინფორმაციის გაცემამდე გაქვთ უფლება მოითხოვოთ განმარტება, ვინ და რა მიზნით აგროვებს თქვენს მონაცემებს და რისთვის აპირებს მომავალში მათ გამოყენებას.*

*თუ დოკუმენტზე ხელმოწერას გთხოვენ, თქვენ გაქვთ უფლება გაეცნოთ სრულ ტექსტს და შესაბამისად მიიღოთ გადაწყვეტილება; თქვენ გაქვთ უფლება არ გაამჟღავნოთ ოჯახის წევრებისა და ახლობლების მონაცემები მათთან შეთანხმების გარეშე,"* _ ნათქვამია განცხადებაში.

**ამასთან, პერსონალურ მონაცემთა დაცვის ინსპექტორის აპარატი მოქალაქეებს მოუწოდებს, რომ თუ მიიჩნევენ, რომ მათი მონაცემები შეიძლება უკანონოდ გამოიყენონ, დაუკავშირდეს ინსპექტორის ოფისს:**

**თბილისი ვაჩნაძის ქუჩა #7, ტელ: 2421000, ელფოსტა office@pdp.ge.**

კონსულტაციის მისაღებად ან მედიასთან დასაკავშირებლად დაგვირეკეთ ცხელ ხაზზე: **595 555 903.**
კავკასიის ჟურნალისტთა ცენტრი;
საქართველოს მედიამონიტორინგის ცენტრი

## PARTIEBI.GE – გაეცანით პარტიების ხედვებს

partiebi.ge NIMD-ის პროექტია, რომელიც 2012 წლიდან მოყოლებული, რეგულარულად აქვეყნებს საქართველოს პოლიტიკური პარტიების წინასაარჩევნო შეხედულებებს ქვეყნისთვის მნიშვნელოვან პოლიტიკურ, ეკონომიკურ და სოციალურ საკითხებზე. პროექტი საქართველოში ნიდერლანდების სამეფოს საელჩოს მიერ არის დაფინანსებული და მიზნად ისახავს 2016 წლის საპარლამენტო არჩევნებისთვის ხელი შეუწყოს, როგორც პარტიათა პოლიტიკური წინადადებების ფორმირებას, ისე საზოგადოების ინფორმირებას ამ წინადადებების შესახებ.

საქართველოს პოლიტიკურ პარტიებს ჰქონდათ საშუალება მოკლე, ლაკონური პასუხები გაეცათ ქვეყნისთვის აქტუალურ და მნიშვნელოვან 29 საკითხთან მიმართებაში. თითოეულ პარტიას, ყველა კითხვაზე თანაბარი მოცულობის _ მაქსიმუმ 250-სიტყვიანი პასუხის გაცემა შეეძლო.




ამ ვებ-გვერდის საშუალებით, თქვენ შეგიძლიათ გაეცნოთ ცალკეული პოლიტიკური პარტიების ხედვებს და თქვენთვის საინტერესო საკითხებზე თემატურად შეადაროთ ერთმანეთს. სოციალური მედიის აპლიკაციები კი, საშუალებას მოგცემთ ადვილად გაავრცელოთ და იმსჯელოთ თქვენთვის საინტერესო იმ საკითხებზე, რომელთაც აქ იხილავთ.

## შედეგების დათვლის პროცესს შეგიძლიათ პირდაპირ რეჟიმში უყუროთ

**ცენტრალური საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე თამარ ჟვანიამ მედიას საარჩევნო ადმინისტრაციის შუალედური ანგარიში წარუდგინა. ანგარიში პარლამენტის არჩევნების დანიშვნის დღიდან, მიმდინარე წლის 8 ივნისიდან 8 სექტემბრამდე პერიოდს მოიცავს და საარჩევნო ადმინისტრაციის მიერ გახორციელებულ სხვადასხვა მნიშვნელოვან საქმიანობას ასახავს.**




*"ძალიან ბევრი სიახლე და სერვისი შევთავაზეთ ჩართულ მხარეებსა და ამომრჩევლებს... მაგალითად, ნებისმიერ მსურველს, პირდაპირ _ ონლაინ რეჟიმში, "ფეისბუქისა" და "იუთუბის" მეშვეობით შეუძლიათ მიიღონ ინფორმაცია და საჯაროდ ნახონ, როგორ ითვლება შედეგები ცენტრალურ საარჩევნო კომისიაში. 360-გრადუსიანი სპეციალური ვიდეოკამერის მეშვეობით, ჩვენ შესაძლებლობას ვაძლევთ ნებისმიერ მსურველს, რომ სოციალურ ქსელებში პირდაპირ, საჯაროდ დააკვირდნენ შედეგების დათვლის პროცესს ცესკოში. აქ შემოდის ოქმები, ხდება ოქმებისა და მონაცემების დამუშავება და ნებისმიერს შეუძლია ეს პროცესი ნახოს საჯაროდ. ეს არის ჩვენ მიერ გადადგმული ძალიან დიდი ნაბიჯი გამჭვირვალობისთვის, ხელმისაწვდომობისთვის და იმისთვის, რომ შედეგების მიმართ ნდობა იყოს მაქსიმალურად მაღალი,"* _ განუცხადა ჟურნალისტებს **ცესკოს თავმჯდომარემ.**

მან რამდენიმე მნიშვნელოვან საკითხზე გაამახვილა ყურადღება, მათ შორის, ამომრჩევლებზე, საუბნო საარჩევნო კომისიებზე, დამკვირვებლებზე, ცესკოს საინფორმაციო კამპანიაზე, ჩართულ მხარეებთან თანამშრომლობაზე, ცესკოს გენდერულ პოლიტიკაზე.

ცესკოს თავმჯდომარის განცხადებით, 8 ოქტომბრის არჩევნებისთვის რეგისტრირებულ ამომრჩეველთა რაოდენობა 12 აგვისტოს მდგომარეობით, 3 510 514-ს შეადგენს, მათ შორისაა 1 887 130 (53.75%) ქალი და 1 623 384 (46.24%) კაცი.

ამომრჩეველთა ერთიან სიაში საკუთარი და ოჯახის წევრების მონაცემების გადამოწმების გამარტივების მიზნით, ცესკომ ამომრჩეველს არაერთი ახალი სერვისი შესთავაზა. მონაცემების გადამოწმება შესაძლებელია ცესკოს ოფიციალური ვებ-გვერდის (voters.cec.gov.ge) მეშვეობით; წელს პირველად მოქალაქეებს შესაძლებლობა ჰქონდათ საკუთარი და ოჯახის წევრების მონაცემები გადაემოწმებინათ საქართველოს მასშტაბით განთავსებულ 7000 სწრაფი გადახდის ტერმინალში, ასევე ანდროიდის სისტემაზე მორგებული მობილური ტელეფონის ან/და პლანშეტის საშუალებით. ამომრჩეველს ასევე შეუძლია მიიღოს ინფორმაცია თუ რომელ საარჩევნო უბანზეა რეგისტრირებული და რუკაზე ნახოს მისი ადგილმდებარეობაც. მნიშვნელოვანია, რომ ცესკოს მიერ შეთავაზებული მონაცემთა გადამოწმების სერვისით 10 ივნისიდან 945 761-მა ამომრჩეველმა ისარგებლა.

მიმდინარე წლის 8 სექტემბრის მდგომარეობით, რეგისტრაციაში გატარდა 25 საარჩევნო სუბიექტი, მათ შორის 19 პარტია და 6 საარჩევნო ბლოკი, 28 პარტიას კი უარი ეთქვა/გაუუქმდა რეგისტრაცია. ასევე რეგისტრირებულია 57 საინიციატივო ჯგუფი.

რაც შეეხება საარჩევნო უბნებს, 8 ოქტომბრის არჩევნები 73 მაჟორიტარულ საარჩევნო ოლქში, 3, 634 საარჩევნო უბანზე ჩატარდება. სხვა სახელმწიფოებში 56 უბანი შეიქმნა. ავღანეთში კი _ 2 საარჩევნო უბანი: ბაგრამის და მაზარი-შარიფის საარჩევნო უბნები.

არჩევნებზე დაკვირვების მიზნით, ანგარიშის წარმოდგენის დრომდე, ცესკო-სა და საოლქო საარჩევნო კომისიებში რეგისტრაცია გაიარა 74-მა ადგილობრივმა და 32-მა საერთაშორისო (მათ შორისაა 20 საარჩევნო ადმინისტრაცია და 4 ქვეყნის საელჩო) ორგანიზაციამ. აკრედიტაცია 34-მა მედიასაშუალებამ გაიარა.

თამარ ჟვანიას თქმით, საქართველოს პარლამენტის არჩევნების შესახებ ჩართული მხარეებისა და ამომრჩევლის დროულად ინფორმირების მიზნით, ცესკომ თანამედროვე სტანდარტების შესაბამისი ახალი, მომხმარებელზე მორგებული და ინფორმაციული ვებ-გვერდი შექმნა. ცესკოს ვებ-გვერდი საქართველოში პირველია, რომელიც სრულად ადაპტირებულია უსინათლო ამომრჩევლისთვის. გარდა ამისა, ინკლუზიური საარჩევნო გარემოს ხელშეწყობის და საზოგადოების ყველა ჯგუფისთვის თანაბარი პირობების უზრუნველყოფის მიზნით, ცესკომ არაერთი ნაბიჯი გადადგა შშმ პირებთან და ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენლებთან კომუნიკაციის გაუმჯობესების, ადაპტირებული საარჩევნო უბნების რაოდენობის ზრდის, საარჩევნო დოკუმენტაციის ეთნიკური უმცირესობების ენებზე თარგმნის მიმართულებით.

ცესკოს ინიციატივით, საარჩევნო ადმინისტრაციის და ადგილობრივი დამკვირვებელი ორგანიზაციების წარმომადგენლებმა ხელი მოაწერეს ქცევის კოდექსს და შეთანხმდნენ, რომ თავისი საქმიანობის გახორციელებისას საქართველოს კანონმდებლობით, საერთაშორისოდ აღიარებული სტანდარტებით და აღნიშნული ქცევის კოდექსით იხელმძღვანელებენ.

ცესკომ, თავისუფალი და სამართლიანი არჩევნებისთვის უწყებათაშორის კომისიასა და ცხრა ადგილობრივ არასამთავრობო ორგანიზაციას შორის საქართველოს პარლამენტის არჩევნებისთვის ადმინისტრაციული რესურსის გამოყენების შესახებ მემორანდუმი გააფორმა. მემორანდუმს ხუთი პოლიტიკური პარტია შეუერთდა. დოკუმენტზე ხელმომწერი მხარეები საქართველოს ორგანული კანონის "საარჩევნო კოდექსი" 45-ე, 48-ე და 49-ე მუხლების ნორმების ერთგვაროვან განმარტებაზე შეთანხმდნენ.

თამარ ჟვანიამ საარჩევნო ადმინისტრაციის მიერ გახორციელებულ საგანმანათლებლო პროექტებზეც ისაუბრა და აღნიშნა, რომ ცესკოს სწავლების ცენტრი უზრუნველყოფს საარჩევნო ადმინისტრაციის ყველა დონის თანამშრომლების კვალიფიკაციის ამაღლებას. მისივე თქმით, შემუშავდა სახელმძღვანელო ინსტრუქციები საოლქო და საუბნო საარჩევნო კომისიის წევრებისთვის, რომლებიც ითარგმნა სომხურ და აზერბაიჯანულ ენებზე. ასევე, ჩატარდა საინფორმაციო-საგანმანათლებლო პროგრამები საარჩევნო პროცესში ჩართული მხარეებისთვის, შეიქმნა დამხმარე სახელმძღვანელოები ადგილობრივი თვითმმართველობების იურისტებისა და მედიისთვის. ჩართული მხარეებისთვის ასევე ხელმისაწვდომია დისტანციური სასწავლო პროგრამა.

ასევე, აღსანიშნავია, რომ საარჩევნო ადმინისტრაციამ თავისი საქმიანობის ისტორიაში პირველად დაამტკიცა გენდერული თანასწორობის პოლიტიკის დოკუმენტი, რომელიც განსაზღვრავს ადმინისტრაციის პრინციპულ და პროფესიულ მიდგომას გენდერული თანასწორობის მიმართ, რითაც საარჩევნო პროცესებში ქალთა და მამაკაცთა თანაბარ მონაწილეობას სტრატეგიული მნიშვნელობა ენიჭება.

ცესკო
საქართველოს საარჩევნო ადმინისტრაცია

კავკასიის ჟურნალისტთა ცენტრისა და საქართველოს მედიამონიტორინგის ცენტრის ერთობლივი პროექტი
"ინფორმირებული არჩევნისთვის _ საინფორმაციო კამპანია ყველა რეგიონისთვის"
ხორციელდება საარჩევნო სისტემების განვითარების, რეფორმებისა და სწავლების ცენტრის
ფინანსური მხარდაჭერით.

საარჩევნო სისტემების განვითარების, რეფორმებისა და სწავლების ცენტრი

დაფინანსებული გვერდი

# ღია პირველობა თავისუფალ ჭიდაობაში



1 ოქტომბერს ზუგდიდში თავისუფალ ჭიდაობაში ჭაბუკებს შორის ღია პირველობა ჩატარდა. ფოთელმა მოჭიდავეებმა აღნიშნულ პირველობაზე წარმატებებს მიაღწიეს. მოჭიდავეების მწვრთნელი ავთო კუჭავა გახლავთ.
I ადგილი 26 კგ წონითი კატეგორიაში მალხაზ ხელაიამ,32 წონითი კატეგორიაში ილია გოგიტიშვილმა,35 კგ წონითი კატეგორიაში ზვიად ჯალაღონიამ,46 კგ წონითი კატეგორიაში საბა გადელიამ,56 კგ წონითი კატეგორიაში ლაზარე გადელიამ დაიკავეს. II ადგილის მფლობელი 29 კგ წონითი კატეგორიაში საბა კუმარტოვი გახდა. ხოლო III ადგილზე 26 კგ წონითი კატეგორიაში ბესო შენგელია გავიდა.

# საერთაშორისო ტურნირი კრივში



29 სექტემბრიდან 2 ოქტობრამდე ქუთაისში კრივში ა. კაკაურიძის ხსოვნისადმი მიძღვნილი საერთაშორისო ტურნირი ჩატარდა,სადაც ქართველ მოკრივეებთან ერთად მონაწილეობდნენ სომხეთის,აზერბაიჯანისა და რუსეთის გუნდები. ფოთელმა მოკრივემ ბადრი ხუციშვილმა წარმატებით იასპარეზა და დაიკავა I ადგილი. ჩემპიონის მწვრთნელი გოჩა რუსია გახლავთ


**გაზეთის ხელმომწერთა საყურადღებოდ!**

ერთი ნომრის ღირებულება ორგანიზაციებისთვის
1 წლით - 50 ლარი
6 თვით - 25 ლარი
3 თვით - 12,50ლარი
კარდაკარის პრინციპით გაზეთის გამოწერა მოქალაქეებისთვის
3 თვით - 6 ლარი

*იკითხეთ გაზეთი* მთავარი თემა სამეგრელოში

გაზეთი „მთავარი თემა სამეგრელოში" სამუშაოდ იწვევს სამეგრელოს რეგიონიდან ყველა ასაკის მქონე ადამიანებს გაზეთის გამავრცელებლად და სარეკლამო აგენტებად კანდიდატების შერჩევა მოხდება გასაუბრებით. მოგვმართეთ შემდეგ მისამართზე: ფოთი წმ. ნინოს ქუჩა 3/2 ტელეფონი: 599 34 14 17

გაზეთი „მთავარი თემა სამეგრელოში" სტაჟირებაზე იწვევს სტუდენტებს, ახალგაზრდებს რომელთაც სურთ მიიღონ გამოცდილება ჟურნალისტიკაში წარმატებული სტაჟიორები დასაქმდებიან გაზეთში. დაინტერესებულმა პირებმა მოგვმართეთ მისამართზე: ფოთი წმ. ნინოს ქუჩა 3/2 ტელ: 599 34 14 17

ისარგებლეთ გაზეთ "მთავარი თემა სამეგრელოში"შეღავათიანი მომსახურებით, განათავსეთ გაზეთში განცხადებები,რეკლამები, მილოცვები. ოჯახის სამგლოვიარო განცხადებები,მილოცვა- ჩვეულებრივი შრიფტით - ერთი ასო 5 თეთრი, სქელი შრიფტით - 7 თეთრი, პირველ გვერდზე - ორმაგი ფასი, სურათიანი განცხადებები: სამგლოვიარო - 15 ლარი,მილოცვა - 10 ლარი, არაპოლიტიკური რეკლამა: მესამე გვერდზე- მთლიანი გვ. (1000სმ2)-150 ლარი,ნახევარი (500 სმ2) - 75 ლარი;მეოთხედი (250სმ2)-37.50 ლარი; მეხუთე გვერდზე: მთლიანი გვ. -130 ლარი; ნახევარი - 65 ლარი; მეოთხედი 32.50 ლარი. პირველ გვერდზე რეკლამა ხუთჯერ ძვირია, ვიდრე მესამე გვერდზე,ბოლოზე- სამჯერ ძვირი ვიდრე მესამე გვერდზე. პოლიტიკური რეკლამის ღირებულება ორმაგია. მრავალჯერად რეკლამებზე და ხელმოწერებზე გათვალისწინებულია ფასდაკლება. გაზეთის გამოწერის მსურველებმა მიმართეთ სამეგრელოს რეგიონალური გამოცემის ოფისს. ქ. ფოთი, წმ. ნინოს ქ.3/ 2 ტელ: 0(493) 22-40-50; 5(99) 34 14 17,

მთავარი თემა სამეგრელოში **თქვენი პრობლემების კვალდაკვალ**

(R) ნიშნით აღნიშნული სტატიები იბეჭდება რეკლამის უფლებით.